ახალი განათლება

2013 წელი, 13 – 19 ივნისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№23 (617) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მე-15 საზეიმო გამოშვება

გვერდი 8

საგამოცდო ბარათების დარიგება 17 ივნისიდან დაიწყება

საგამოცდო ბარათები თბილისში 17 ივნისიდან, რეგიონებში კი 18 ივნისიდან დარიგდება.

დამამთავრებელი კლასის მოსწავლეები საგამოცდო ბარათებს **საკუთარ სკოლებში** მიიღებენ, **სკოლადამთავრებულები**, ისევე როგორც **მაგისტრანტობის კანდიდატები – რეგისტრაციისას მითითებულ ადგილებზე.**

მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდების მონაწილეები ბარათის აღებას **საგანმანათლებლო რესურსცენტრებში** შეძლებენ, **სტუდენტები** – თავიანთ **უმაღლეს სასწავლებლებში.**

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები

გვერდი 3–4

ძართული ხელნაწერი წიგნის ქრონიკებში

გვერდი 6–7

კონკურსი

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგები

მაკა ყიფშიანი

5 ივნისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, კონკურსის „გაიგე, მეტი შენი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის შესახებ“ გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართა. შეგახსენებთ, რომ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენის, დაცვის, განვითარებისთვის და UNESCO-ს 2003 წელს შემუშავებული „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციის შესრულების მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ პირველი სასკოლო საპილოტე ორეტაპიანი კონკურსი – „ გაიგე მეტი შენი კუთხის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ განახორციელა. კონკურსში მონაწილეობა, საქართველოს მასშტაბით, 200-მდე სკოლამ მიიღო. გამოვლინდა არამატერიალური მემკვიდრეობის 20 საუკეთესო ნიმუში, 48 სკოლის 90 მონაწილეს და მათ პედაგოგებს კი „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება მიენიჭათ. კონკურსი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, გაზეთ „ახალი განათლების“, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით განხორციელდა.

კონკურსში გამარჯვებულებს და მათ პედაგოგებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა **გურამ ოდიშარიამ** სიგელები და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული გამოცემები გადასცა. გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციამ გამარჯვებულ კონკურსანტებს საჩუქრად გადასცა თამაზ ვასაძის „ვეფხისტყაოსანი“ – კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი შემსწავლელთა და მოყვარულთათვის. კონკურსში გაიმარჯვეს: მცხეთის, ყვარლის, აბაშის, ასპინძის, ლენტეხის, ამბროლაურის, ოზურგეთის, ქობულეთის, მარტვილისა და მესტიის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლებმა, რომლებმაც წარმოადგინეს ისეთი გამორჩეული ნიმუშები, როგორებიცაა: „უდინური სამზარეულო“, „სიმინდის ხარშვა“, „რძის დამუშავების ტექნოლოგია“, „პურის არყის დამზადების ტექნოლოგია“, „ლიზვნანალი-ლილგენალი“, „ჭონა“, „მესაქონლეობასთან დაკავშირებული რიტუალები“, „ბატონები“, „კალანდობა“, „საქორწინო ტრადიცია“ და სხვ.

ღონისძიებას ესწრებოდნენ: კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე **მარინე მიზანდარი**, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **მერაბ ბოჭოიძე**, საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი **ქეთევან კანდელაკი**, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის უწყებათშორისი სამუშაოს წევრები და სფეროს სპეციალისტები.

გურამ ოდიშარია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი: *„დიდი მადლობა კონკურსში მონაწილეებს და იმ ადამიანებს, რომლებიც ამ კონკურსის ინიციატორები არიან. არამატერიალური კულტურული ძეგლების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება აუცილებელია. ეს არის ჩვენი სიმდიდრე, რომელიც მომავალ თაობებს უნდა გადავცეთ. განსაკუთრებული ღვაწლი და მნიშვნელობა ენიჭება ამ კონკურსს თუნდაც იმიტომ, რომ მესტიის რაიონის სოფელ ფარის მოსწავლეების მიერ წარმოდგენილმა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებმა სფეროს ექსპერტების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს. ისეთი იშვიათი და საინტერესო ნიმუშების აღწერისთვის, როგორიცაა: „გარდაცვალება და გასვენება“, „სულთა ხსენების დღე, ანუ ლიფანე“, „ქრისტე ლიდბაშელი“, „სვანური სამართალი“, „ახალი წელი, ანუ კალანდა“, „ექიმბაშობა და სამკურნალო საშუალებები“, „ლამპრობა“, „ოქროს მოპოვება“, „მატყლის დამუშავება და მისი ყოფაცხოვრებაში გამოყენება“.*

ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კიდევ უფრო მეტი არამატერიალური ძეგლი აღმოვაჩინოთ. აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ ნუსხაში შეტანილია და კულტურული ძეგლის სტატუსით სარგებლობს ისეთი მნიშვნელოვანი ნიმუშები, როგორებიცაა: „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“, „დედაენა“, „ბერიკაობა“, „ცეკვა ფერხული“, „კახური მრავალჟამიერი“, აქედან იუნესკოს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში ნომინირებულია „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“. ამ ნომინაციის შესახებ იუნესკოს გადაწყვეტილება ცნობილი გახდება 2013 წლის დეკემბერში, ბაქოში დაგეგმილი სესიის შემდეგ“.

მარინე მიზანდარი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე: *„პირველ რიგში, დიდი მადლობა პედაგოგებს, რომლებმაც მოსწავლეები აზიარეს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას. დიდი მადლობა მოსწავლეებს, რომლებმაც ძალიან საინტერესო თემები და ნიმუშები მოგვაწოდეს. დიდი მადლობა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებს, პროექტის ინიციატორებს და ორგანიზატორებს. ეს სფერო ძალზე სერიოზულ მუშაობას მოითხოვს. მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი ნიმუშები იმდენად საინტერესოა, რომ შესაძლებელია ბევრ მათგანს არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსი მიენიჭოს. საამაყოა, რომ ჩვენ ვართ უმდიდრესი კულტურული ტრადიციების ქვეყანა, გვაქვს ძალიან ბევრი როგორც მატერიალური, ასევე არამატერიალური ძეგლები, რომლებსაც კვლევა, შენახვა, დაცვა, აღორძინება და პოპულარიზაცია სჭირდება“.*

ქეთევან კანდელაკი, საქართველოს იუნესკოს საქმეთა კომისიის გენერალური მდივანი: *„უპირველეს ყოვლისა, საქართველოს იუნესკოს სახელით დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი კონკურსის ყველა მონაწილეს და ინიციატორს. აღსანიშნავია, რომ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ – UNESCO – გენერალური კონფერენციის 32-ე სესიაზე, 2003 წელს, „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია“ მიიღო. კონვენციას წინ უძღოდა UNESCO-ს მიერ 2001 წლის 18 მაისს, კაცობრიობის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ხელთუქმნელი შედევრების ნუსხის“ დამტკიცება. ამ ნუსხაში, მსოფლიოს 19 უმნიშვნელოვანეს ნიმუშთან ერთად, ქართული ტრადიციული მრავალხმიანობაც იქნა შეტანილი. საქართველო კონვენციას 2007 წელს მიუერთდა. ჩვენმა სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, მის იდენტიფიკაციას, დოკუმენტირებას, კვლევას, პოპულარიზაციას, ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით ახალგაზრდა თაობისთვის გადაცემას, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტის აღორძინებას. ძალზე მნიშვნელოვანია ამ კონკურსში მოსწავლეთა მონაწილეობა და მათი დაინტერესება ამ ნიმუშების მოძიებით, რადგან არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის (რომელსაც ცოცხალ მემკვიდრეობას ეძახიან) ფენომენის გადარჩენის, შენარჩუნების და სიცოცხლისუნარიანობის გარანტი ჩვენი ახალგაზრდა თაობაა“.*

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები

ია კუტალაძე
გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევისა და საგნობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელი

შესავალი

2006 და 2011 წლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში (PIRLS – Progress in International Reading Literacy Study), რომლის მიზანიც 9-10 წლის მოზარდების კითხვის უნარისა და მასთან დაკავშირებული ფაქტორების შესწავლაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი უნარი, რომელსაც ბავშვები სკოლაში სწავლისას იძენენ, კითხვის უნარია. ბავშვები ჯერ სწავლობენ კითხვას, შემდეგ კი კითხულობენ იმისთვის რომ ისწავლონ. სწორედ ამიტომაც სასკოლო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მოსწავლეთა წიგნიერების განვითარების ხელშეწყობაა. მოზარდის კითხვის უნარი მისი სოციალიზაციისა და პიროვნული განვითარების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. კვლევითი მონაცემები ცხადყოფს, რომ სოციალური, ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვები კითხვის სირთულეებით გამოირჩევიან. ამიტომაც კითხვის სწავლების საწყის ეტაპზევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებასა და კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. ამ ასაკში კითხვის უნარის შემოწმება გულისხმობს იმის გარკვევასაც, თუ რამდენად წარმატებული იქნება ბავშვი მომავალში, შეძლებს თუ არა მაღალი კლასების სასწავლო პროგრამის დაძლევას და, საბოლოო ჯამში, საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. ამას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოების კეთილდღეობისათვისაც.

მოსწავლეთა წიგნიერებასთან დაკავშირებულ კვლევებს დიდი ისტორია აქვს. კითხვის სწავლება ყოველთვის აქტუალური და პრობლემური საკითხი იყო. 1950 წლამდე უკვე არსებობდა 3000-ზე მეტი სამეცნიერო კვლევა ამ საკითხთან დაკავშირებით. უკანასკნელ ათწლეულებში მსგავსი პუბლიკაციების რიცხვი მკვეთრად გაიზარდა. ამ კვლევებში განსაკუთრებული ადგილი წიგნიერების საერთაშორისო კვლევას (PIRLS) უჭირავს. ეს კვლევა მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანია, **კვლევის მეთოდოლოგიისა და მასშტაბურობის** გამო.

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის (PIRLS) მიზანია, (1) შეამოწმოს 9-10 წლის მოზარდების **წაკითხულის გააზრების უნარი** მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და (2) იკვლიოს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებასა და წიგნიერებაზე (ქვეყნის დემოგრაფიული მახასიათებლები და რესურსები, ოჯახი, სასკოლო რესურსები, საკლასო კონტექსტი, სწავლების მეთოდოლოგია და ა.შ.).

მოსწავლეთა მიღწევები

PIRLS შედარებითი, კროსკულტურული კვლევაა. 2011 წელს კვლევაში 45 ქვეყანა მონაწილეობდა. იმისათვის, რომ კვლევაში მონაწილე ქვეყნების შედეგები ერთმანეთთან შედარებადი იყოს, მონაცემები ერთ, საერთო სკალაზეა განთავსებული. მოსწავლეთა მიღწევის მაჩვენებლები მოცემულია PIRLS-ის სკალაზე, რომლის სტანდარტული სკალის ცენტრალურ მნიშვნელობად აღებულია 500 (სტანდარტული გადახრა კი 100-ის ტოლია). კვლევა ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება და კვლევაში მონაწილე ქვეყნებს პროგრესის შეფასების საშუალება რომ ჰქონდეთ, სტანდარტული სკალის ეს მაჩვენებლები უცვლელი რჩება შეფასების ყველა ციკლში.

როგორია ქართველი ბავშვების წიგნიერების დონე მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბავშვთა წიგნიერების დონესთან მიმართებით?

ქართველ ბავშვებს PIRLS-ის საერთაშორისო სკალირებულ საშუალოზე დაბალი მიღწევები აქვთ. მათი წიგნიერების საშუალო მაჩვენებელია 488, რაც სტატისტიკურად არსებითად ჩამორჩება PIRLS სტანდარტული სკალის საშუალო მაჩვენებელს (500).

მონაწილე 45 ქვეყნიდან საქართველო მოხვდა იმ 13 ქვეყანას შორის, რომელთაც თავიანთი შედეგი 2006 წლის შედეგებთან შედარებით გააუმჯობესეს, PIRLS 2006-თან შედარებით, 2011 წელს საქართველოს შედეგები მნიშვნელოვნად – 17 ერთეულით გაუმჯობესდა, **თუმცა საერთაშორისო საშუალო ქულას (PIRLS-ის სკალის ცენტრალურ მნიშვნელობას) 12 ერთეულით მაინც ჩამორჩება და ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია.**

მოსწავლეთა კითხვის უნარი ფასდება საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გამოყენებით. ისევე როგორც 2006 წელს, ქართველი მოსწავლეები უკეთეს შედეგს აჩვენებენ მხატვრული ტექსტის გაგებაში. PIRLS 2011-ში მოსწავლეთა მიღწევებით გამორჩეულ ქვეყნებს **მხატვრული და საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში**, ძირითადად, მსგავსი შედეგები აქვთ, რაც კარგად ორგანიზებული, დაბალანსებული სასწავლო გეგმითა და ეფექტიანი სწავლების პროცესით შეიძლება აიხსნას.

საქართველოში მოსწავლეთა 2%-მა მიაღწია PIRLS 2011 საერთაშორისო სკალის უმაღლეს საფეხურს (დაძლია რთული დავალებები, რომლებიც კითხვაში დაოსტატებას მოითხოვს). პროცენტულად ყველაზე დიდია ასეთი მოსწავლეების რაოდენობა სინგაპურში (24%); ასევე, რუსეთის ფედერაციაში, ჩრდილო ირლანდიაში, ფინეთში, ინგლისსა და ჰონკონგში (18-19%).

მიღწევის საერთაშორისო დონეები და საქართველო

მიღწევის საერთაშორისო დონეების (საფეხურების) მიხედვით შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მონაწილე ქვეყნებში საშუალოდ მოსწავლეთა 8%-მა დაძლია PIRLS-ის საერთაშორისო სკალის უმაღლესი საფეხური.

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე ქვეყანათა უმეტესობაში მოსწავლეთა 95% ფლობს საბაზო კითხვის უნარს (ძლევს მიღწევის საერთაშორისო სკალის დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებს). საქართველოში ასეთი მოსწავლეების რაოდენობა 86%-ია; ანუ **საქართველოში მოსწავლეთა 14%-ს გაუჭირდა დაბალი საფეხურისთვის განსაზღვრული დავალებების შესრულებაც კი**.

თუ PIRLS 2006-ისა და 2011 წლების შედეგებს ერთმანეთს შევადარებთ, ვნახავთ, რომ 4%-ით შემცირდა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ვერ ძლევდნენ დაბალი საფეხურისთვის განკუთვნილ დავალებებსაც კი.

PIRLS 2011-ში, ისევე, როგორც PIRLS 2001-სა და 2006-ში, გოგოებს კითხვაში მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგი აქვთ, ვიდრე ბიჭებს. PIRLS 2011-ის მიხედვით, გოგონების უპირატესობის ტენდენცია დაფიქსირდა თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

ისევე, როგორც 2006 წელს, 2011 წლის კვლევაშიც თბილისის სკოლების მოსწავლეებს ყველაზე მაღალი მიღწევები აქვთ: კითხვის (წაკითხულის გააზრების) საშუალო სკალირებული მაჩვენებელი 518.05-ია, სტანდარტული შეცდომა (SE) – 0.58. **თბილისში მცხოვრები მოსწავლეების კითხვაში მიღწევების საშუალო მაჩვენებელი აღემატება PIRLS საერთაშორისო სკალის საშუალო მაჩვენებელს და ეს განსხვავება სტატისტიკურად არსებითია**. თუ კვლევაში მონაწილე ქვეყნების მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიას დავაკვირდებით, თბილისელი მოსწავლეების შედეგი დაახლოებით ისეთია, როგორიც ზოგიერთი ევროპული ქვეყნის შედეგი (მაგალითად, საფრანგეთი – საშუალო მაჩვენებელი 520; ესპანეთი – 513; ნორვეგია – 507).

საერთაშორისო საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი არ აქვს საქართველოს არც ერთ რეგიონს, თუ არ ჩავთვლით აფხაზეთს. თუმცა მისი შედეგი, ცხადია, არ გამოდგება აფხაზეთის რეგიონის დასახასიათებლად; აქ გაერთიანებულია ის სკოლები, რომლებიც ექვემდებარება აფხაზეთის განათლების სამინისტროს და სადაც, ძირითადად, იძულებით გადაადგილებული მოსწავლეები სწავლობენ.

საქართველოში არსებითად ჭარბობს იმ სკოლათა რაოდენობა, რომელთა საშუალო მიღწევაც საერთაშორისო სკალირებულ საშუალოზე დაბალია. საშუალოზე მაღალი მაჩვენებლით პროცენტულად ყველაზე მეტი სკოლა არის თბილისში, იმერეთში, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო-სვანეთში.

საქართველოს 173 სკოლიდან 37 სკოლას ჰყავს 25% ან მეტი მოსწავლე რომელთაც კითხვის მინიმალური საბაზო უნარებიც არა აქვთ განვითარებული (საერთაშორისო მიღწევის სკალის დაბალ საფეხურზე ქვემოთ).

ისევე როგორც PIRLS 2006 წლის კვლევაში, PIRLS 2011-შიც კითხვაში მიღწევებით **სოფლის მოსწავლეები არსებითად ჩამორჩებიან ქალაქში მცხოვრებ თანატოლებს;** სხვაობა 34 ქულას შეადგენს.

კვლევაში მონაწილე მაღალი მიღწევების ქვეყნების შედეგებს თუ შევხედავთ, მაგალითად, ფინეთში სოფლისა და ქალაქის მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობა 8 ქულას შეადგენს. საქართველოს შედეგთან შედარებით, სოფლისა და ქალაქის მოსწავლეთა მიღწევებს შორის უფრო დიდი სხვაობა მაროკოშია – სხვაობა 52.5-ს შეადგენს (მაროკოს საშუალო მიღწევა 310-ია და მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილი რეიტინგული სიის ბოლო ადგილს იკავებს).

კითხვაში მიღწევებით **საჯარო სკოლის** მოსწავლეები არსებითად ჩამორჩებიან მათ თანატოლებს, რომლებიც **კერძო სკოლებში** სწავლობენ; სხვაობა 60 ქულას შეადგენს. ეს განსხვავება სტატისტიკურად უფრო არსებითია, ვიდრე სოფლისა და ქალაქის სკოლების მოსწავლეთა მიღწევებს შორის განსხვავება. კერძო სკოლის მოსწავლეებს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გააზრებაში.

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლეთა წიგნიერებაზე

დემოგრაფიული მახასიათებლები და რესურსები. ქვეყნისა და საზოგადოების შიგნით ბავშვის წიგნიერების განვითარებაში დიდი წვლილი კულტურულ, სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებს შეაქვს. ქვეყნის წარმატება განათლებასა და წიგნიერი ადამიანების აღზრდაში დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად აფასებენ ქვეყანაში წიგნიერებასა და მასთან დაკავშირებულ აქტივობებს. წიგნიერების მნიშვნელობაზე გავლენას ახდენს ზოგადად წიგნიერების როლის შესახებ საზოგადოების გამოცდილება და რწმენა (Street, 2001). ოჯახს, სკოლებსა და ზოგადად საზოგადოებას შეუძლიათ, ისეთი გარემო ჩამოაყალიბონ, რომელშიც კითხვას აფასებენ.

ქვეყნებს შორის შედეგებში განსხვავებას ხშირად განათლების სფეროში სახელმწიფოს როლით ხსნიან. **ქვეყანაში სახელმწიფო დონეზე განათლების პრიორიტეტულობის ერთ-ერთი მნიშველოვანი ინდიკატორი განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯია**. ყველაზე მაღალი შედეგების მქონე ქვეყნებს შორის განათლებაზე ხარჯები მაღალია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ეს ხარჯები მეტად მოკრძალებულია.

წიგნიერების კვლევაში მაღალი შედეგებით გამორჩეული ქვეყნები კეთილდღეობის მაღალი დონის მქონე ქვეყნებია. თუ კეთილდღეობის საზომად გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის ქვეყნის კეთილდღეობის საზომს გამოვიყენებთ და წიგნიერების შედეგებს შევადარებთ, ვნახავთ, რომ წიგნიერების კვლევაში მაღალ შედეგებს მეტწილად მაღალი კეთილდღეობის მაჩვენებლის მქონე ქვეყნები აჩვენებენ. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უდიდესი ნაწილის წიგნიერების შედეგი მნიშვნელოვნად მაღალია მათი ქვეყნის კეთილდღეობის პროგნოზირებად შედეგზე. ასეთი განსხვავების ასახსნელად მკვლევართა ნაწილი ქვეყნებში კითხვისა და, ზოგადად, სწავლისადმი დამოკიდებულებას უკავშირებენ. მაგალითისთვის, სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების განსაკუთრებით მაღალ შედეგებს „აზიური ღირებულებებით და განათლებისადმი კონფუციანური დამოკიდებულებით ხსნიან“ (Green et al., 1999).

საქართველოში მოსწავლეთა **43%** სწავლობს სკოლებში, სადაც მოსწავლეთა **25%** ან მეტი ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახებიდანაა (წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში ჩართული სკოლების დირექტორთა მონაცემები) (საერთაშორისო საშუალოა **30%**). საქართველოში კვლევაში ჩართულ მოსწავლეთა მშობლების დასაქმების მაჩვენებელი დაბალია; ამასთან, იმ ბავშვების მიღწევები, რომელთა მშობლებიც სრულ ანაზღაურებად განაკვეთზე მუშაობენ, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე იმ ბავშვების, რომელთა მშობლებიც არასრულ ანაზღაურებად განაკვეთზე მუშაობენ ან უმუშევრები არიან. **წიგნიერების საერთაშორისო კვლევის მონაცემებით, რაც უფრო ნაკლები მოსწავლეა სკოლაში ეკონომიურად ხელმოკლე ოჯახიდან, მით უფრო მაღალია წიგნიერების მაჩვენებელი.**

კითხვის უნარების განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასწავლო გეგმის ისეთი ასპექტები, როგორებიცაა: მიღწევის სტანდარტები კითხვაში, სწავლებისთვის განკუთვნილი დრო, მეთოდები და მასალები, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების იდენტიფიცირების გზები.

PIRLS 2011-ის მონაწილე ქვეყნებიდან მხოლოდ 7 ქვეყანაში არის სასწავლო გეგმაში გამოყოფილი კითხვა, როგორც სასწავლო გეგმის ცალკე სფერო. ესენია: საფრანგეთი, უნგრეთი, ჰოლანდია, ჩრდ. ირლანდია, რუსეთი, შვედეთი და აშშ. დანარჩენ ქვეყნებში, როგორც წესი, კითხვა მშობლიური ენის სასწავლო გეგმის ნაწილია, რომელშიც ყურადღება ასევე გამახვილებულია წერისა და კომუნიკაციის სხვა უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

PIRLS-2011 კიდევ ერთხელ ადასტურებს საყოველთაოდ ცნობილ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ **მოზარდები, რომელთა წიგნიერების განვითარებას ოჯახში ხელს უწყობენ, კარგი მკითხველები არიან**. კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები აქვთ იმ მოზარდებს, რომელთა ოჯახებში წიგნის კითხვა მკვიდრი ტრადიციაა, რომელთა მშობლებიც ცდილობენ, ბავშვები ადრეული ასაკიდანვე ჩააბან წიგნიერებასთან დაკავშირებულ აქტივობებში (მაგალითად, სხვადასხვა სახის სახალისო თამაშები ასოებისა და სიტყვების გამოყენებით, მცირე მოცულობის წიგნის კითხვა და წაკითხულზე საუბარი და ა.შ). **ოჯახის საგანმანათლებლო რესურსი მნიშვნელოვნად აისახება მოსწავლეთა მიღწევებზე**.

მოზარდთა უმეტესობისთვის სახლი ერთგვარ მოდელს წარმოადგენს, რომლის ზეგავლენითაც ისინი კითხვასთან დაკავშირებულ ჩვევებს ითვისებენ. ის, თუ რამდენად ხშირად კითხულობენ და საუბრობენ წაკითხულის შესახებ მშობლები, გავლენას ახდენს მოსწავლის კითხვის მიმართ დამოკიდებულებაზე.

კვლევები ადასტურებს, რომ ბავშვის განვითარების ყველა ეტაპზე მშობლის ჩართულობასა და ბავშვის წიგნიერებაზე ზრუნვას არსებითი როლი ენიჭება, განსაკუთრებით კი, ბავშვის განვითარების ადრეულ ეტაპზე. მშობლების ჩართულობას **ბავშვის წიგნიერებასთან დაკავშირებულ ადრეულ აქტივობებში** მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მოსწავლის კითხვის უნარის განვითარებაზე (Levy, Gong, Hessels, Evans & Jared, 2006; Senechal & Lefevre, 2002). ადრეულ ასაკში წიგნიერებასთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან აქტივობას, მშობლის მიერ ხმამაღლა წაკითხვა წარმოადგენს. ამ დროს ბავშვები სწავლობენ, რომ დაბეჭდილი ტექსტი შინაარსს ატარებს და კითხვის შესაძლებლობა ღირებული და ფასეული უნარია. ერთობლივად კითხვასა და ბიბლიოთეკაში სიარულს, ბავშვების წახალისებას, წაიკითხონ დამოუკიდებლად, თავისი წვლილი შეაქვს წიგნიერების მაღალი დონის მიღწევაში.

სკოლამდელი განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაწყებითი სკოლისთვის ბავშვების მზაობის ფორმირებაში. აშშ-სა და ინგლისის ბოლოდროინდელი ლონგიტიდური, გრძელვადიანი ანალიზის მიხედვით, სკოლამდელი განათლების ხანგრძლივობა პოზიტიურად უკავშირდება აკადემიურ მოსწრებას სკოლაში (Trucker-Drob, 2012;

→ 4

წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები

მესამე გვერდიდან

Sammons et al., 2002). სკოლამდელი განათლება ბავშვებს ეხმარება არახელსაყრელი პირობებისა და თაობიდან თაობაზე გარდამავალი სიღარიბის დაძლევასა და მიღწევის დონის გაუმჯობესებაში (Economist Intelligence Unit, 2012).

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის მხრივ კვლევაში მონაწილე ქვეყნების მდგომარეობა ერთმანეთისგან განსხვავებულია. მაგალითად, ავსტრიაში, უნგრეთსა და ჰოლანდიაში სკოლამდელი განათლების მიღება სავალდებულოა. ავსტრალიაში, ხორვატიასა და სინგაპურში არ არის სავალდებულო. მიუხედავად ამისა, ამ სამ ქვეყანაში სკოლამდელ განათლებაში ბავშვების 100-პროცენტიანი ჩართულობა ფიქსირდება. აღსანიშნავია, რომ მრავალი ქვეყანა უკვე მუშაობს იმაზე, რომ სკოლამდელი განათლება რაც შეიძლება მეტმა ბავშვმა მიიღოს. საყურადღებოა ის, რომ ბავშვებმა, რომლებსაც საერთოდ არ უვლიათ ბაღში, ყველაზე დაბალი შედეგები აჩვენეს.

PIRLS 2011 წლის მონაცემებით, მოზარდებს, რომელთაც მიღებული აქვთ სკოლამდელი განათლება, აქვთ კითხვაში უფრო მაღალი მიღწევები. ქართველი ბავშვების დაახლეობით 83%-ს მიღებული აქვს სკოლამდელი განათლება. მათი მიღწევის საშუალო მაჩვენებელი 24 ქულით აღემატება იმ მოზარდების მიღწევებს, რომლებიც ბაღში არ დადიოდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახური გარემო კითხვის უნარის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს, ბავშვების უმეტესობისთვის სკოლა ფორმალური სწავლისა და განათლების მიღების მთავარ ადგილად რჩება. წიგნიერების განვითარებაზე, პირდაპირ თუ ირიბად, სკოლის მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. PIRLS 2011-ის მიხედვით, **რაც უფრო მეტი რესურსი აქვს სკოლას, მით უფრო მაღალია მოსწავლეების მიღწევის დონე**.

ძლიერი ეკონომიკური გარემოს არსებობა დიდი ალბათობით უწყობს ხელს საზოგადოებაში წიგნიერებისა და აკადემიური მიღწევის მნიშვნელობის ზრდას. ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში სკოლებს უჭირთ სწავლისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. თუმცაღა, სასკოლო რესურსებსა და მოსწავლეთა მიღწევას შორის არსებული კავშირი კომპლექსური ხასიათისაა. მაგალითად, სკოლის ადგილმდებარეობამ შეიძლება განსაზღვროს ის, თუ როგორი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ბავშვები ისწავლიან იქ, აგრეთვე, იმოქმედოს მნიშვნელოვანი დამატებითი რესურსების ხელმისაწვდომობაზე (მაგ. მუზეუმები, ბიბლიოთეკები და ა.შ). **ურბანიზებულ დასახლებულ პუნქტებში მოსწავლეთა მიღწევები უფრო მაღალია.** PIRLS 2011-ის მიხედვით, წარმატებულ სკოლებს უკეთესი რესურსები აქვთ და იქ კარგი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ბავშვები სწავლობენ.

მოსწავლეთა მზაობა. **მოსწავლეებს, რომელთაც სკოლაში შესვლისას განვითარებული აქვთ კითხვის ელემენტარული უნარები, PIRLS 2011-ის მიხედვით აქვთ მიღწევის უფრო მაღალი მაჩვენებელი.** მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში სწავლას კითხვის უნარის მაღალი დონით იწყებენ, შემდგომშიც ინარჩუნებენ ამ უპირატესობას.

კითხვის სწავლებისთვის მნიშვნელოვანი რესურსებია: სპეციალიზებული მასწავლებლები, კომპიუტერული პროგრამები, წიგნები, აუდიო-ვიზუალური რესურსები. PIRLS 2011-ში სასკოლო რესურსების შესახებ ინფორმაციას დირექტორებისგან იღებდნენ. სასკოლო რესურსების მისაწვდომობის მაღალი ინდექსი (სათანადო სასწავლო მასალები, სასკოლო პირობები და სივრცე, კომპიუტერები და კომპიუტერული პროგრამები, ბიბლიოთეკა, აუდიო-ვიზუალური რესურსები) მნიშვნელოვან კავშირშია კითხვაში საშუალო დონის მიღწევებთან. საერთაშორისო საშუალო მონაცემების მიხედვით, მოსწავლეთა 24% კარგად აღჭურვილ სკოლაში სწავლობს. ასეთი სკოლების მოსწავლეებს მიღწევის ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ; 45 ქულით დაბალი შედეგი აქვთ მოსწავლეებს, რომელთა სკოლებშიც რესურსების ძლიერ ნაკლებობას განიცდიან.

საერთაშორისო საშუალო მონაცემების მიხედვით, მოსწავლეთა 28%-ის სკოლაში კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს. მათ აჯობეს იმ მეოთხეკლასელებს, რომელთა სკოლებსაც საშუალო ან პატარა ზომის ბიბლიოთეკა ჰქონდა. ყველაზე დაბალი ქულა, ბიბლიოთეკის არმქონე სკოლის მოსწავლეებმა მიიღეს. საქართველოში სკოლათა რაოდენობის მხოლოდ 2%-ში არ არის ბიბლიოთეკა. ამასთან, მოსწავლეებს, რომლებიც სწავლობენ სკოლებში, სადაც სკოლის ბიბლიოთეკაში 5000 დასახელების წიგნზე მეტი (კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკა) ან 501-5000 დასახელების წიგნია (საშუალო ზომის ბიბლიოთეკა), ერთნაირი მიღწევები აქვთ.

კომპიუტერები სკოლაში. ელექტრონული ტესტებისა და სხვა ტექნოლოგიების გამოყენება მნიშვნელოვან როლს თამაშობს კითხვის უნარის განვითარებაში (Kamil, Intrator, Klm, 2000). ბევრ ქვეყანაში, სკოლებში კომპიუტერები ფართოდაა გავრცელებული და ინტერნეტის ხელმისაწვდომობაც ნელ-ნელა იზრდება. იქიდან გამომდინარე, რომ ინტერნეტის საშუალებით მრავალი საკითხავი მასალა გახდა ხელმისაწვდომი, კომპიუტერის სწავლების მიზნით გამოყენებამ, შეიძლება ტექნოლოგიები სკოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსად აქციოს.

სკოლაში კომპიუტერების გამოყენების შესაძლებლობა ქართველი მოსწავლეების 98%-ს აქვს. 2006 წელთან შედარებით, ეს მონაცემი მნიშვნელოვნად გაიზარდა, 2006 წელს მოსწავლეთა მხოლოდ 10%-სათვის იყო ხელმისაწვდომი. კომპიუტერის ხელმისაწვდომობასა და კითხვაში საშუალო მიღწევას შორის ურთიერთკავშირის ინტერპრეტირება საკმაოდ რთულია, რადგან ის მჭიდრო კავშირშია სოციალურ-ეკონომიკურ დონესა და სწავლების პრაქტიკასთან.

სკოლის კლიმატი. მიღწევის მაღალი დონით გამორჩეული ბავშვები ტიპურად ისეთ სკოლებში სწავლობენ, რომლებშიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ აკადემიურ წარმატებას, ეფექტურ მასწავლებლებს, მოსწავლეების სურვილს, ისწავლონ კარგად და მშობლების მხარდაჭერას. დისციპლინისა და უსაფრთხოების პრობლემები ხელს უშლის მიღწევის მაღალი დონის ფორმირებას. **დაცულობის შეგრძნება ისეთ სკოლაში სწავლის შედეგად ჩნდება, რომელშიც ძალიან ცოტა ქცევითი და უსაფრთხოების პრობლემაა და, შესაბამისად, სტაბილური სასწავლო გარემოა.**

PIRLS 2011-ის შედეგების მიხედვით, **რაც უფრო მეტადაა სკოლაში უსაფრთხოება და დისციპლინა დაცული, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა მიღწევები.** ქართველი მასწავლებლების უმრავლესობის აზრით, სასკოლო გარემო უსაფრთხო და მოწესრიგებულია. სკოლის უსაფრთხოების ხარისხის მიხედვით, კვლევაში მონაწილე ქვეყნებს შორის საქართველო მე-5 ადგილზეა (ინდონეზიის, ჩრდილო ირლანდიის, აზერბაიჯანისა და ისრაელის შემდეგ).

PIRLS 2006-შიც დირექტორის მიერ სკოლის უსაფრთხოების დადებითად შეფასებასა და კითხვაში მოსწავლეთა მიღწევის საშუალო მაჩვენებელს შორის პოზიტიური კავშირი დაფიქსირდა. მსგავსი ტენდენციაა შენარჩუნებული 2011 წელსაც.

PIRLS 2006-სა და 2011 წლებში უსაფრთხოების მაჩვენებელი საქართველოს სკოლებში მკვეთრად აღემატება საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელს. PIRLS 2006 წლის მონაცემებით, საქართველოს ***მოსწავლეთა შეფასებით*** სკოლის უსაფრთხოების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი ინდექსი ჰქონდა. მას ამ მონაცემებით მხოლოდ ნორვეგია, შვედეთი და დანია უსწრებდნენ. საქართველოში მხოლოდ მოსწავლეთა 1% მიიჩნევდა, რომ სკოლა, სადაც ის სწავლობს, არ არის უსაფრთხო. ***დირექტორთა შეფასებით,*** მოსწავლეთა 73% სწავლობდა მაღალი უსაფრთხოების ინდექსის სკოლაში (საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელი 60%) და 7% უსაფრთხოების დაბალი ინდექსის სკოლაში (საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელი 7%) (PIRLS 2006-ის კვლევით გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების გათვალისწინებით შეიძლება ეჭვქვეშ დავაყენოთ საქართველოს სკოლებისთვის უსაფრთხო სკოლის ეგიდით გაღებული ინვესტიციების პრიორიტეტულობა და, შესაბამისად, მიზანშეწონილობა (მანდატურები სკოლაში). თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ სკოლათა პროცენტული მაჩვენებული, სადაც უსაფრთხო და მოწესრიგებული გარემოა, PIRLS 2011 წლის მონაცემებით გაიზარდა. ცალკე საკითხია, რამდენად არის ეს ტენდენცია მანდატურის ინსტიტუტის შემოტანით განპირობებული.)

საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, **მასწავლებელთა სამუშაო სტაჟი და სამუშაო პირობები** საყურადღებო ფაქტორი აღმოჩნდა მოსწავლეთა მიღწევების ანალიზისას. საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, მოსწავლეთა მიღწევები პედაგოგის სტაჟის პროპორციულად იზრდება (პედაგოგად მუშაობის რაც უფრო მეტი სტაჟი აქვს მასწავლებელს, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა მიღწევები). საქართველოში ყველაზე მაღალი მიღწევები აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა მასწავლებლებსაც აქვთ 5-დან 10 წლამდე სტაჟი, შედარებით ნაკლები აქვთ 10-დან 20 წლამდე სტაჟის მქონე მასწავლებელთა მოსწავლეებს, უფრო ნაკლები კი 20 წელზე მეტი სტაჟის პედაგოგების მოსწავლეებს. დაბალია იმ პედაგოგთა მოსწავლეების მიღწევები, რომელთაც 5 წელზე ნაკლები სტაჟი აქვთ.

მასწავლებლის პროფესია მოითხოვს მუდმივ განვითარებასა და ცოდნის განახლებას მთელი ცხოვრების მანძილზე. პროფესიული განვითარება სემინარების, კონფერენციებისა და პროფესიული ჟურნალების საშუალებით, მასწავლებლებს კითხვის სწავლების შესახებ ცოდნის გამდიდრებაში ეხმარება. **კვლევაში მონაწილე ზოგიერთ ქვეყანაში მასწავლებლები ვალდებულნი არიან, მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების აქტივობებში.**

კვლევებმა აჩვენა, რომ მასწავლებლის ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა: გავლილი ტრენინგები, სერტიფიცირება, გამოცდილება და სწავლების მიმართ დამოკიდებულება განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს მოსწავლის წარმატებაში (Clotfelter, Ladd & Vigdor, 2007b; Croninger, Rice, Rathbun & Nishio, 2007; Palardy & Rumberger, 2008).

კვლევაში მონაწილე ზოგიერთ ქვეყანაში მასწავლებლობა პრესტიჟული, კარგად ანაზღაურებადი სამუშაოა, ზოგან კი დაბალია მასწავლებლის ხელფასი, სოციალური სტატუსი, შესაბამისად, პროფესია ნაკლებად მიმზიდველია. ქვეყნებში, სადაც მასწავლებლობა მიმზიდველი, პრესტიჟული პროფესიაა, გარკვეული ღონისძიებები ტარდება მისი სტატუსის შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის: მაგ., სინგაპურში, მომავალ მასწავლებლებს სტიპენდია აქვთ, გარდა იმისა, რომ ისინი უფასოდ იღებენ საუნივერსიტეტო განათლებას. დამწყები მასწავლებლის ხელფასიც, სხვა დამწყებ პროფესიებთან შედარებით, მაღალია. მაგ., მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მასწავლებლები ტრადიციულად მაღალი სოციალური სტატუსის მქონენი იყვნენ, ამჟამად გამოკვეთილია მასწავლებლის პროფესიის სტატუსის დაქვეითების ტენდენცია, რაც დაბალი ანაზღაურებითა და სხვა მრავალი ფაქტორით შეიძლება აიხსნას. ამის მიუხედავად, PIRLS 2011-ის მონაცენების მიხედვით, მიუხედავად დაბალი სოციო-ეკონომიკური სტატუსისა, საქართველოში მოსწავლეთა 79%-ის მასწავლებელი კმაყოფილია პროფესიით. ფინეთში, ჰონკონგსა და სინგაპურში, სადაც მასწავლებელთა სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი ძალიან მაღალია, პედაგოგები ნაკლებად არიან კმაყოფილები თავიანთი კარიერით, ვიდრე ქართველი მასწავლებლები.

წიგნიერებაში მიღწევის უფრო მაღალი დონით გამოირჩევიან მოსწავლეები, რომელთაც მოსწონთ კითხვა. მოსწავლეთა მიღწევებზე პოზიტიურად აისახება მაღალი მოტივაცია, ჩართულობა და კითხვაში თვითდაჯერებულობა. მაღალი თვითეფექტურობის და თვითშეფასების მქონე ბავშვები უფრო კარგი მკითხველები არიან.

კვლევაში მონაწილე 45 ქვეყნიდან ქართველ ბავშვებს აქვთ კითხვის მოტივაციის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ისინი კითხვის მოტივაციის დონის მიხედვით შედგენილი რეიტინგული სიის სათავეში არიან. აღსანიშნავია, ჰონკონგი, რომელიც მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიაში პირველ ადგილზეა. მოტივაციის მაღალი დონის მიუხედავად, მოსწავლეთა დაბალი მიღწევები შესაბამისი რესურსების ხელმისაწვდომობის (მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები, ოჯახის საგანმანათლებლო რესურსის სიმწირე და სხვა) ნაკლებობითაც შეიძლება აიხსნას.

თვითდაჯერებულობა. კვლევები მიუთითებს, რომ მაღალი თვითეფექტურობისა და თვითშეფასების მქონე ბავშვები უფრო კარგი მკითხველები არიან. იქიდან გამომდინარე, რომ კითხვის სწავლის მოტივაცია მოიცავს წარმატების მიღწევის შესაძლებლობის შეგრძნებას, მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს სჯეროდეთ კითხვაში საკუთარი შესაძლებლობების (McLaughlin et al., 2005).

საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, მიღწევის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თვითდაჯერებულ მოსწავლეებს ჰქონდათ, ყველაზე დაბალი კი მათ, ვინც თვითდაჯერებული არ იყო. თვითდაჯერებულობის დონის მიხედვით შედგენილ მოსწავლეთა რეიტინგულ სიაში საქართველო 45 ქვეყანას შორის 36-ე ადგილზეა. საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელთან შედარებით, საქართველოში მცირეა იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც კითხვაში თვითდაჯერებულობის მაღალი მაჩვენებელი აქვთ .

საკვებისა და ძილის ნაკლებობა. სამწუხაროდ, ბევრ ქვეყანაში (ძირითადად, განვითარებად ქვეყნებში), არაერთი ბავშვი შიმშილობს, რაც კვლევების მიხედვით, ნეგატიურ გავლენას ახდენს აკადემიურ მიღწევაზე. PIRLS 2011 ადასტურებს, რომ მოსწავლეები, რომლებსაც ცუდად სძინავთ ან საკვების ნაკლებობას განიცდიან, მიღწევის შედარებით დაბალი დონით ხასიათდებიან. საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლები საკმაოდ შემაშფოთებელ შედეგებზე მიუთითებს: მოსწავლეთა 27% განიცდის საკვების, ხოლო 49% – ძილის ნაკლებობას. მათი მიღწევის მაჩვენებლებიც ბევრად ნაკლებია ასეთი პრობლემების არმქონე ბავშვების შედეგებზე. საქართველოს შედეგები ასეთია: მოსწავლეთა 54% განიცდის საკვების, ხოლო 35% – ძილის ნაკლებობას.

საკლასო ბიბლიოთეკები. კლასის ბიბლიოთეკის ან კლასში სპეციალური კუთხის არსებობა, სადაც მოსწავლე დამოუკიდებლად წაიკითხავს, ხელს უწყობს კითხვასთან დაკავშირებული პოზიტიური ჩვევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას და, ამასთან, მოსწავლეს მრავალფეროვანი შინაარსის ტექსტების გაცნობის საშუალებას აძლევს. PIRLS 2011-ის საერთაშორისო მონაცემების მიხედვით, მეოთხე კლასის მოსწავლეთა საშუალოდ 72%-ს აქვს კლასში ბიბლიოთეკა (საქართველო – 54%); საკლასო ბიბლიოთეკის მქონე მოსწავლეთა მიღწევის საშუალო მაჩვენებელი აღემატება საკლასო ბიბლიოთეკის არმქონე თანატოლების საშუალო ქულას. საკლასო ბიბლიოთეკების რაოდენობის მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიაში საქართველო ბოლო ათეულშია (45 ქვეყანაში 35-ე ადგილი).

შეჯამება

ცხადია, ის, თუ როგორია მოსწავლეთა მიღწევა კითხვაში, **სხვადასხვა მიზეზის** კომპლექსური, ერთობლივი მოქმედების შედეგს წარმოადგენს. ეს მიზეზები შეიძლება დაიყოს/კლასიფიცირდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია მათი გავლენა მოსწავლეთა მიღწევაზე, ანუ რამდენად შეიძლება მათი მნიშვნელობების მიხედვით **ვიწინასწარმეტყველოთ მოსწავლეთა შედეგი კითხვაში.** ამგვარი ანალიზი გვეხმარება მოსწავლეთა მიღწევების ინტერპრეტირებასა და იმის გარკვევაში, რატომ აქვს მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფს უკეთესი თუ უარესი შედეგი წიგნიერებაში. მომავალ პუბლიკაციაში წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგების **კომპლექსურ ანალიზსა** და იმ ფაქტორების აღწერას წარმოგიდგენთ, რომელიც არსებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე, ამასთან, გაგაცნობთ კვლევაზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს.

რადგან მოზარდისათვის სამყაროს შეცნობის ძირითადი საშუალება სწავლაა, სწავლის საფუძველი კი – კითხვის უნარია, განათლების სისტემამ და საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მოსწავლეთა წიგნიერების ხელშეწყობად. ჩვენ შესაძლებლობა გვეძლევა, ეფექტურად გამოვიყენოთ საერთაშორისო კვლევის შედეგები და ხელი შევუწყოთ მოზარდთა სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებას, რაშიც გადამწყვეტი როლი კითხვასა და კითხვისადმი ინტერესს, ზოგადად, წიგნიერებას ენიჭება.

საგანმანათლებლო კერა

განათლება დალის (კოდორის) ხეობაში

დასასრული

კოდორის ხეობაში ასევე ფუნქციონირებდა 1 საბავშვო ბაღი 22 ბავშვით და 5 პერსონალით.

ხეობაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობის განახლებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ხალხს იმედი მიეცა, ადამიანებს განუმტკიცდათ რწმენა, რომ მარტონი არ არიან, მათზე ზრუნავს ქვეყნის ხელისუფლება. ამაზე მიუთითებს ის, რომ ხეობიდან სასკოლო ასაკის ბავშვები და ადრე საცხოვრებლად სხვაგან გასული მოსახლეობის დიდი ნაწილი დაბრუნდა. სკოლების მუშაობის განახლებამ განაპირობა ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც შემდგომში გატარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გაწევის საკითხებს გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა 1996 წლიდან, როცა გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის 23 აგვისტოს №561 ბრძანებულება. ამ ბრძანებულების შესაბამისად, ჩატარდა აღდგენითი სამუშაოები ჩხალთის, გენწვიშის, აჟარის სკოლებში. 1996-97 წლებში შეტანილ იქნა 100 000 ლარის ღირებულების ინვენტარი, 1996 წელს დამზადებულ და შეტანილ იქნა: მოსწავლის მაგიდა – 190, სკამი – 380, დაფა – 40, მასწავლებლის მაგიდა – 40, ნახევრად რბილი სკამი – 130, წიგნების კარადა – 10 და ა.შ.

იმის გამო, რომ კოდორის ხეობის სკოლები არ იყო უზრუნველყოფილი პედაგოგიური კადრებით, მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი დაკომპლექტდა საშუალო განათლების მქონე და საპენსიო ასაკის ადამიანებით. დღის წესრიგში დადგა ხეობის სკოლებისათვის კადრების მომზადების საკითხი. 1995 წელს, თბილისის ივანე ჯავახიშვლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის „ლემის“ (თავმჯდომარე – აკაკი გასვიანი) ინიციატივით, ომში მონაწილე 25 ახალგაზრდა გასაუბრებით ჩაირიცხა. 1997 წელს, ჩვენი წინადადებით, ამავე უმაღლეს სასწავლებელში (რექტორი – ოთარ ჟორდანია) სხვადასხვა სპეციალობებზე ლიმიტით ჩაირიცხა 17 ახალგაზრდა.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების შესაბამისად, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე, სხვადასხვა სპეციალობებზე, 1998-1999 სასწავლო წელს, 50 ახალგაზრდა ჩაირიცხა. ასეთი ღონისძიებები შემდგომ წლებშიც გაგძელდა.

კოდორის ხეობის მასწავლებელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხები ყოველთვის ყურადღების ცენტრში იყო. რწმუნებულის აპარატისა და სამინისტროს წინადადებით, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აისახა კოდორის ხეობის მასწავლებლების ანაზღაურება ადრე მინიჭებული საკვალიფიკაციო კატეგორიებითა და მათ ხელფასებზე სპეციალური დანამატის გათვალისწინებით. აღნიშნული საკითხები და კოდორის ხეობის მასწავლებლების ომში მონაწილეებთან გათანაბრება აისახა წერილში, რომელიც პრეზიდენტის სახელზე გაიგზავნა 1998 წლის ნოემბერში.

1999 წელს სამივე ეს საკითხი შევიდა პრეზიდენტის ბრძანებულებაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 4 სექტემბრის №397 ბრძანებულების თანახმად, 2000-2001 სასწავლო წლიდან, შემოღებულ იქნა კოდორის ხეობაში მომუშავე მასწავლებლებისათვის ყოველთვიური დანამატი ერთი თვის ხელფასის ოდენობით, ხოლო 2001 წლის პირველი იანვრიდან აღნიშნული ღონისძიება გავრცელდა ხეობის ყველა კატეგორიის მომსახურეზე.

იყო საკითხები, რომელიც განათლების სფეროს სცილდებოდა. 1998 წლის 22 ივნისს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიამ მოისმინა კოდორის ხეობის სკოლების დირექტორების – რუსუდან პირველისა და გივი ჩოფლიანის ინფორმაცია. მათ ყურადღება გაამახვილეს ხეობაში არსებულ მძიმე სოციალურ-პოლიტიკურ, კრიმინოგენულ სიტუაციაზე, რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელი აღმოჩნდა სოხუმის სეპარატისტული რეჟიმის მიერ, 1998 წლის მაისში, გალში დატრიალებული ტრაგედიის ფონზე. კოლეგიამ პრეზიდენტის სახელზე გაგზავნა სპეციალური წერილი, რომელსაც მისგან შესაბამისი რეაგირება მოჰყვა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საკითხის მოგვარება შესაძლებელი გახდა აფხაზეთის განათლების სამინისტროს (მინისტრი – ჯანო ჯანელიძე, მოადგილე – ვახტანგ გასვიანი), გულრიფშის განათლების განყოფილების (გამგე – ვალერი ვეკუა, მოადგილე – მერი გაფრინდაშვილი) საქმიანი თანამშრომლობით საქართველოს განათლების სამინისტროსთან (მინისტრები – თამაზ კვაჭანტირაძე, ალექსანდრე კარტოზია). ეს ურთიერთობა საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ განათლების სისტემის მმართველობის ორგანოებმა ყველაზე რთულ პირობებში. ყოველგვარი წინაღობის გარეშე შესაძლებელი იყო საქმიანი შეხვედრები სამინისტროს როგორც რიგით თანამშრომლებთან, ასევე მინისტრებთან და მოადგილეებთან (თამაზ ტატიშვილი, გია მათიაშვილი, კახა ქორიძე, დავით ბურჭულაძე, რუსუდან გორგილაძე).

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მუშაობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას კოდორის ხეობა წარმოადგენდა. *„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია კოდორის ხეობა. დაუვიწყარია ხეობის მოსახლეობის როლი აფხაზეთის უმშვენიერესი კუთხის გადარჩენაში. კოდორის ხეობა დღესაც კონფლიქტის ზონაა მისგან გამომდინარე სპეციფიკური პრობლემებით. ამდენად სრულიად გასაგებია საქართველოს პრეზიდენტის, ხელისუფლების ყველა შტოსა და სტრუქტურის განსაკუთრებული დამოკიდებულება ხეობის და მისი მოსახლეობისადმი“* (ლონდერ ცაავა, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დევნილობაში“, თბილისი, 2000წ., გვ.20). საქართველოს ბიუჯეტიდან, 1998-2004 წლებში, ხეობის სოციალურ დახმარებას და ეკონომიკურ განვითარებას მოხმარდა 3 216 500 ლარი. 2005 წლიდან აშენდა პტიშის, ომარიშარის დაწყებითი სკოლის შენობები, კაპიტალურად გარემონტდა აჟარის, ჩხალთის, გენწვიშის საშუალო, საკენისა და გენწვიშის დაწყებითი სკოლები.

საქართველოს ხელისუფლება და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შემდგომ პერიოდშიც ახორციელებდნენ ყველა საჭირო ღონისძიებას ხეობასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაწყვეტად. საკითხების ოპერატიულად მოგვარების მიზნით, 2005 წლიდან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ფუნქციონირებას იწყებს დალის ხეობაში, ადგილზე ტარდებოდა მთავრობის სხდომები, სხვა სამთავრობო ღონისძიებები.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში სამანქანო გზის გაყვანას, რამაც ხეობა საქართველოს დანარჩენ რაიონებს დააკავშირა.

ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა ბოლო წლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ – სპორტული შეჯიბრებები, „ეტალონის“ კონკურსში მონაწილეობა, ინერგებოდა ყველა სიახლე, რაც საქართველოს განათლების სისტემაში ხორციელდებოდა.

ხეობის სკოლებში სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესი საქართველოს განათლების სამინისტროს სასწავლო გეგმებით და პროგრამებით მიმდინარეობდა. სასწავლო დაწესებულებები საქართველოს განათლების სამინისტროს რეფორმის ცენტრთან აქტიურად თანამშრომლობდნენ, მონაწილეობდნენ ყველა ღონისძიებაში. ასევე წარმატებით დაინერგა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საგამოცდო ტესტების გამოყენება. IX-XI კლასებში გამოსაშვები გამოცდები საგამოცდო ტესტებით კოდორის ხეობის სკოლებშიც ჩატარდა.

მიუხედავად ხეობის სკოლების ტერიტორიული დაშორებისა, მათ სრულფასოვანი ადგილი დაიკავეს აფხაზეთისა და საქართველოს განათლების სისტემაში. ეს კი, პირველ რიგში, სკოლების დირექტორების და მასწავლებლების უდიდესი დამსახურებაა ქვეყნისა და საკუთარი ხალხის წინაშე.

სამივე საშუალო სკოლის დირექტორი – რუსუდან პირველი, გივი ჩოფლიანი, ზურაბ გურჩიანი, თამარ წერედიანი – ერთმანეთთან შეთანხმებულად, გააზრებულად მუშაობდნენ, დასაბუთებულად და პრინციპულად აყენებდნენ ზემდგომი ორგანიზაციების წინაშე ხეობის სკოლებისათვის დახმარების საკითხს. საქმისადმი მათი ამგვარი დამოკიდებულება უადვილებდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ამ საკითხების მოგვარებაში დროულად ჩართვას.

ამ დროს ხეობის სკოლებში მასწავლებლობა დიდ მსხვერპლსა და თავგანწირვას მოითხოვდა. აქაური მასწავლებლები როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე საომარ ვითარებაშიც საკუთარ მოვალეობას კარგად ასრულებდნენ. სამართლიანად ამბობს მათზე რუსუდან პირველი: *„ხეობის განათლების მუშაკები – მათზე რა უნდა ითქვას გარდა იმისა, რომ თითოეული მათგანი მართლაც რომ ეროვნული მოღვაწეა“*; შემდეგ კი გულდაწყვეტილი წერს – *„ეხლა ისინი ვილას ახსოვს?* (მხედველობაში აქვს 2008 წლის აგვისტოს შემდგომი პერიოდი) *არც არავის, არავინ არაფერს ითხოვს – უბრალოდ შთამომავლობის წინაშე ჩვენ ჩვენი ვალი მოვიხადეთ“.*

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ ხეობის 150 განათლების მუშაკიდან მუშაობას აგრძელებს მხოლოდ საგანმანათლებლო რესურსცენტრის რამდენიმე თანამშრომელი (ხელმძღვანელი – ქეთევან არღვლიანი).

ადამიანები ბოლომდე დაიხარჯნენ იმ ორომტრიალში, რაც სკოლების მოვლა-პატრონობას და სასწავლო პროცესის ორგანიზებას დასჭირდებოდა. აქ გვერდს ვერ აუვლი აჟარის სკოლის დირექტორის რუსუდან პირველის მრავალმხრივ მუშაობას – წელიწადში ორჯერ-სამჯერ, შვილთან ერთად, უღელტეხილზე, სიცოცხლის რისკის ფასად, სასკოლო ინვენტარით თუ სახელმძღვანელოებით დატვირთული სატვირთო მაქანით მგზავრობა; ზემდგომი ორგანოების წინაშე მისთვის დამახასიათებელი პრინციპულობით და მომთხოვნელობით საკითხის დაყენება მასწავლებელთა ხელფასების გაზრდის, მოსწავლეთა უმაღლეს სასწავლებლებში ლიმიტებით მიღების, სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების შესახებ და სხვ. მისი მოღვაწეობა მხოლოდ განათლების საკითხების მოგვარებით არ შემოიფარგლებოდა, ის ასევე მწვავედ აყენებდა საკითხებს, რომელიც ხეობის მოსახლეობის უსაფრთხოებას, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას ეხებოდა. 28 წელი იმუშავა მან აჟარის სკოლის დირექტორად, აქედან 14 წელი საომარ მდგომარეობაში მოუხდა მოღვაწეობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში მეუღლე და შვილი დაეღუპა, ღირსეულად ასრულებდა მოქალაქეობრივ და პროფესიულ მოვალეობას. ამ სკოლის მუშაობის ორაგნიზებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი სასწავლო ნაწილის გამგეს – მარნა გურჩიანს.

ხეობაში განათლების საკითხების მოგვარების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი გენწვიშის საშუალო სკოლის დირექტორს გივი ჩოფლიანს, რომელმაც 1994 წელს შეცვალა ფოდა ჯაჭვლიანი (მისივე თანხმობით). მან ერთ-ერთმა პირველმა ითავა გენწვიშის სკოლის ფუნქციონირების აღდგენა, ხოლო გენწვიშელებმა საკუთარი ძალებით წესრიგში მოიყვანეს სკოლის შენობა. მისი გარდაცვალების შემდეგ დაწყებულ საქმეს პირნათლად აგრძელებდა თამარ წერედიანი.

ასევე უნდა აღინიშნოს ჩხალთის საშუალო სკოლის დირექტორის ზურაბ გურჩიანის თავგამოდებული მუშაობა. ეს სკოლა ხეობის დასაწყისშია. მასში პირველივე დღიდან განთავსდნენ დევნილები, შემდეგ სამხედრო ფორმირებები იდგნენ, რამაც მწყობრიდან გამოიყვანა საკლასო ოთახები, ინვენტარი, მიუხედავად ამისა, ბატონმა ზურაბმა მობილიზება გაუკეთა მშობლებს, მასწავლებლებს და წესრიგში მოიყვანა სკოლის შენობის ნაწილი ისე, რომ 1994 წელს, შემოდგომაზე, სასწავლო პროცესის დაწყება შესაძლებელი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი ომის აქტიური მონაწილეა და მიღებული აქვს მძიმე ტრავმა.

ხეობაში შორს მდებარე სოფლებში 6 დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა. ამ სკოლებს დიდი როლი მიუძღვით მოსახლეობაში ცოდნის გავრცელებაში. ეს სკოლები განათლების სფეროს განუყოფელი ნაწილი იყო. იქ მომუშავე ყველა მასწავლებელი პირნათლად ასრულებდა მოვალეობას.

მარჯვენა გენწვიშის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად, 1945 წლიდან, მუშაობდა ბიძინა ქოჩქიანი, ომარიშარის დაწყებით სკოლაში, 1962 წლიდან – ჟორჟი დევდარიანი, სადაც მათ 2008 წლის აგვისტოს მოვლენებამდე იმუშავეს. მრავალწლიანი მუშაობის განმავლობაში მათ ბევრ ბავშვს მისცეს საფუძვლიანი დაწყებითი განათლება. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ მოსახლეობაში, ასევე განათლების მუშაკებს შორის. ამის დადასტურებაა ის, რომ დღესაც ყოფილი მოსწავლეები, მადლიერების ნიშნად, მათ „პატივცემულო მასწავლებელოთი“ მიმართავენ.

ხეობას, განათლების კერებთან ერთად, ჯანდაცვის ობიექტებიც სიცოცხლეს მატებდა. აჟარაში გახსნილი იყო საავადმყოფო, სადაც თავიდან ექიმად ბიძინა აფრასიძე მუშაობდა, შემდეგ ის დავით ფანგანმა შეცვალა, მასთან გამოცდილ მედდებად მუშაობდნენ: ციალა პირველი, ლამარა ჩოფლიანი, მარო გულბანი და სხვები. ბოლო წლებში მოსახლეობის ჯანდაცვას ემსახურებიან ექიმები: ლევან კორძაია, მამუკა გერლიანი, ოლია კორძაია, ზაალ აფრასიძე, ტანია აფრასიძე, ვალტერ ჯახნოთელი, მარინა გურჩიანი, გიორგი გერლიანი, დავით მორგოშია, ალექსი კოსტინი, ნოდარ ბებია და სხვ. თბილისში ფუნქციონირებს ხეობის ჯანდაცვის სამსახური, სადაც ყოველდღე ბევრი ადამიანი იღებს უფასო სამედიცინო დახმარებას. ჯანდაცვის ყველა მუშაკს დიდი წვლილი აქვს შეტანილი მოსახლეობის, მოსწავლეების ჯანმრთელობის უზრუნველყოფის საქმეში. ამ მისიას ისინი დევნილობაშიც კარგად ასრულებენ.

უნდა აღინიშნოს სკოლების ხელმძღვანელების ერთმანეთთან შეთანხმებული მუშაობა, რაც წინ უძღოდა ამა თუ იმ პრობლემის ზემდგომი ორგანოების წინაშე მოსაგვარებლად დაყენებას.

ხეობის სკოლებში 150-ზე მეტი ადამიანი მუშაობდა. მათ გვერდით ედგათ მშობლები. ყველა ადამიანზე ვერ დაწერ, ამის საშუალება არც არის. სავსებით ვეთანხმები ქალბატონ რუსუდან პირველს, როცა ის ხეობის მცხოვრებლებზე წერს: *„ცალ-ცალკე ხეობის რომელიმე სოფლის, ან რომელიმე უწყების, ან სკოლის, ან პიროვნების გამოყოფა ამ შემთხვევაში შეუძლებელია, იმდენად იყო შეკრული ყველა ერთმანეთთან. ადამიანი კი იმით იზომება, რას და რამდენს იტვირთავს ცხოვრებაში“.*

დალის ხეობის მცხოვრებლებო, განათლების მუშაკებო, თქვენ დიდი და მძიმე ტვირთის ზიდვა მოგიწიათ ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის ყველაზე მძიმე წლებში. თქვენ დაამტკიცეთ, რომ დალის ხეობაში ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ და იბრძოდნენ იმისთვის, რომ ეს მნიშვნელოვანი ჭიშკარი საიმედოდ ყოფილიყო ჩაკეტილი. თქვენ დაამტკიცეთ, რომ ძალიან გიყვართ ჩვენი სამშობლო – საქართველო. სწორედ ამიტომ, საიმედოდ ჩარაზეთ ხეობის ყველა შემოსასვლელი. 60-ზე მეტი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა ამ საქმეს. იმ დროს სოფლებში რომ გაგევლო, ყოველ ნაბიჯზე შაოსან ქალს შეხვდებოდი. ასეთი იყო იმ დღეების სურათი. ასეთ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი: როცა დევნილი ქალი ბავშვს აჩენდა, აქაური ვაჟკაცები (1-2 ოქტომბერი 1993 წელი, სოფელ ჩინთან), ახალდაბადებულის სიცოცხლე რომ გადაერჩინათ, თვითონ დაიღუპნენ, ეს მისია მათ პირნათლად შეასრულეს.

დალის ხეობის მოსახლეობას წინ დიდი განსაცდელი ელოდა. საბედისწერო აღმოჩნდა 2008 წლის 8-10 აგვისტო. აი, როგორ აღწერს ამ დღეებს რუსუდან პირველი: *„იბომბებოდა ყველაფერი... ჯარმა ხეობა დატოვა. მოსახლეობა პანიკაშია. კოდორის ხეობა 6-7 პოლიციელის ამარა დარჩა. მათ აქვთ მწირი ტრანსპორტის საშუალება – თავდაუზოგავად გაჰყავთ უღელტეხილს მიღმა ხეობაში დარჩენილი ადამიანები და გადაარჩინეს ასობით ადამიანი. თვითონ კი ძლივს გადაურჩნენ სადამჯელო რაზმების თარეშს“.* ხეობის მოსახლეობა განიარაღებული იყო, რის გამოც წინააღმდეგობის გაწევა ვერ შეძლეს, როგორც ეს 1993-94 წლებში გააკეთეს.

დალის მოსახლეობამ 15 წლის განმავლობაში, რუსეთის 2008 წლის აგვისტოს აგრესიამდე, შეინარჩუნა მშობლიური მიწა-წყალი, სკოლებში ქართულ ენაზე სწავლება, ეკლესიაში – წირვა-ლოცვა მშობლიურ ენაზე. მათ პირნათლად შეასრულეს დიდი ილიას შეგონება – ენა, მამული, სარწმუნოება.

ამან გაუთქვა დალს საქვეყნოდ სახელი და აამაღლა ერის თვალში, ამიტომ მოექცა ეს მხარე XX საუკუნის ბოლოს მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში.

გავიხსენე 1993 წლის 4 ოქტომბერი, საღამოს 17 საათზე დალის უღელტეხილზე უამრავმა დევნილმა მოიყარა თავი. 22 გარდაცვლილი ადამიანის ცხედარი დავთვალე. ხალხი სასოწარკვეთილ მდგომარეობაში იყო – ქალების მოთქმა, ირგვლივ ბავშვების ტირილი ისმოდა.

უნებლიეთ ფეხზე ავდექი, იქვე დიდ ლოდზე ავედი, ხალხს მივმართე შემდეგი სიტყვებით: „ჩვენ არ დავმარცხებულვართ ამ ომში, თავი ავარიდეთ სიკვდილს. ამ ომში გამარჯვებული არავინ არ არის, დროებით კი იმან გაიმარჯვა, ვისაც ქართველებისა და აფხაზების საუკუნეობრივი ძმური ურთიერთობების შურდა“.

ამ სიმაღლიდან გადავიხედე ჯერ დასავლეთისაკენ – აფხაზეთისკენ, ილორის ეკლესია წარმომიდგა თვალწინ, შევტრიალდი სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ – ერთიანი საქართველოს პირველი მეფის – ბაგრატ მესამის მიერ აშენებული ბედიის მონასტერი დავლანდე, შემოვბრუნდი აღმოსავლეთისაკენ – სვანეთის ყველაზე დიდი სალოცავი – კვირიკეს ეკლესიისკენ გავიხედე. სამჯერ პირჯვარი გადავიწერე და სამი ეკლესიის ხილვის ფონზე, სიტყვა ასევ დავამთავრე: „ჩვენ დავბრუნდებით! გაუმარჯოს იქითა საქართველოს – აფხაზეთს და აქეთ დანარჩენ საქართველოს, გაუმარჯოს ერთიან საქართველოს“. ეს იყო ღვთიური ძალის მიერ ნაკარნახევი სიტყვები.

ვახტანგ გასვიანი
აფხაზეთის ა/რ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე 1985-2005 წლებში

სტუმარი

ქართული ხელნაწერი წიგნის ქრონიკები

ესაუბრა
ლალი ჯელაძე

საქართველო უმდიდრესი საგანძურის მფლობელია უძველესი ქართული ხელნაწერების სახით. ძირითადი ბირთვი ქართული ხელნაწერებისა სასულიერო ხასიათის ლიტერატურაა. ევოლუციის რა ეტაპები გაიარა ქართულმა ხელნაწერმა წიგნმა, რა პრინციპებით ფორმდებოდა, ზოგადად რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურის განვითარებისთვის ქართულ ხელნაწერს და როგორ ჩამოყალიბდა და განვითარდა წიგნის შექმნის ხელოვნება – გვესაუბრება რუბრიკის სტუმარი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელოვნების ისტორიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ***ნინო ძავთარია.***

– რა პერიოდიდან იღებს სათავეს ქართული ხელნაწერი წიგნი?

– ხელნაწერი წიგნი და მათ შორის ქართული ხელნაწერი წიგნი მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დარგია, რადგანაც მისი როლი, განსაკუთრებით ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ, ძალიან დიდი იყო.

ქართული ხელნაწერი წიგნის პირველი ფრაგმენტები V-VI საუკუნიდან შემოგვრჩა, თუმცა ეს ცალკეული ეტრატისგან შესრულებული ფურცლებია. ამის შემდეგ, გარკვეულწილად, ხელნაწერი წიგნის ისტორია ჩვენში ქრისტიანობის შემოღებას უკავშირდება. ამ პერიოდიდან დაიწყო მასიურად სასულიერო ხასიათის ლიტერატურული ძეგლების შემოსვლა და ყოველივე ამან განაპირობა და მოიტანა აუცილებლობა იმისა, რომ ეს წიგნები ქართულ ენაზეც ყოფილიყო ნათარგმნი და იმდროინდელი ქართველი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო. სავარაუდოდ, მანამდე, რა თქმა უნდა, არსებობდა ხელნაწერები, რომლებსაც, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. ძირითადი მასალა, რითაც ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ნიმუშებია შესრულებული, ეტრატია. ეტრატი პერგამენტის ქართული შესატყვისი სიტყვაა, რომელიც ძირითადად ხბოს ტყავისგან მზადდებოდა, შემდეგ იჭრებოდა შესაბამის ზომაზე და საწერ მასალად გამოიყენებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ხელნაწერი წიგნის ორგანიზება მონასტერში ხდებოდა. მონასტერი იყო ძირითადი ადგილი, სადაც ხელნაწერი წიგნების თარგმანი, გადაწერა, გამრავლება, გადანუსხვა, შემკობა და ყდაში ჩასმა სრულდებოდა. მწიგნობარი ბერები იყვნენ ამ საქმის მწარმოებელნი. თუმცა მანამდე (ადრეული ხანის ქართული ხელნაწერი წიგნი მოღწეული არ არის) ხელნაწერი წიგნის ფორმა განსხვავებული იყო, გრაგნილის ფორმა ჰქონდა, რომელიც, ძირითადად, პაპირუსისგან იყო შესრულებული. დაახლოებით I-II საუკუნეებში პაპირუსი ეტრატმა ჩაანაცვლა. ქართული ადრეული ხანის გრაგნილები შემორჩენილი არ არის, ქრისტიანულ სამყაროში გრაგნილის ფორმა ზოგადად ჩაანაცვლა კოდექსის ფორმამ – თანამედროვე წიგნის ფორმამ. ეს დაახლოებით IV საუკაუნეში მოხდა და, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქრისტანობას უკავშირდებოდა, მაგრამ XI საუკუნეში გრაგნილი კვლავ აღდგა, ეს იმან გამოიწვია, რომ ლიტურგიის წესები – ჟამის წირვა – სწორედ გრაგნილზე იყო გადაწერილი და როდესაც მღვდელთმსახური ამბიონზე ლოცვას კითხულობდა, კონდაკზე დახვეულ გრაგნილს ხსნიდა. გარდა ამისა, ევროპაში გრაგნილზე სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ჩანაწერებსაც აკეთებდნენ, თუმცა პაპირუსის ნაცვლად ეტრატს იყენებდნენ – ეტრატის ფურცლებს ერთმანეთს აკერებდნენ და ისე ახვევდნენ გრაგნილად. წიგნის ძირითად ფორმად მაინც კოდექსი – თანამედროვე წიგნის ფორმა მიიჩნევა, რომელიც, პრაქტიკულად, მთელ სამყაროში გავრცელდა, როგორც ერთადერთი ყველაზე მისაღები ფორმა ხელნაწერისთვის.

მარტვილის სახარება, 1050 წელი



გრიგოლ რომთა პაპი, დიალოღონი, XI საუკუნე



„ვეფხისტყაოსანი“ , ე.წ. ბეგთაბეგისეული ნუსხა, 1680 წელი

– როგორ განვითარდა ხელნაწერი წიგნი, რა ეტაპები გაიარა და, ძირითადად, რა დამახასიათებელი ნიშნებით გამოირჩევა ევოლუციის პერიოდი?

– რაც შეეხება ქართული ხელნაწერი წიგნის შემდგომ ეტაპს, ის უკვე სხვადასხვა მონასტრების მშენებლობას უკავშირდება. როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსდება მონასტრები, ძირითადად, საქრისტიანოს ცენტრში – იერუსალიმში, პალესტინაში, რომლებიდანაც ჩვენ შემოგვრჩა პირველი გადაწერილი ხელნაწერები, იგივე სინას მთაზე, შემდეგ სხვა ახალი მონასტრები, ათონზე, ასევე, იმდროინდელი ბიზანტიის იმპერიაში – ანტიოქიაში და სხვ. რა თქმა უნდა, ასეთი ცენტრები საქართველოშიც საკმაოდ უხვად იყო. თავდაპირველად გამოირჩეოდა ტაო-კლარჯეთის მწიგნობრული ცენტრი, რომელიც მხოლოდ სასულიერო კერა არ იყო, არამედ ძალიან მძლავრი კულტურული ცენტრი იყო. მნიშვნელოვანი დეტალია ისიც, რომ ადრეული ხანის ხელნაწერების დიდი ნაწილი, განსაკუთრებით IX-X საუკუნეების, სწორედ ტაო-კლარჯეთის სკოლაშია შესრულებული როგორც ორიგინალური თხზულება, ასევე თარგმანი, გადაწერილი, შემდეგ მოხატული და ყდაში ჩასმული. ისინი არა მხოლოდ საკუთარი მონასტრებისთვის ასრულებდნენ ხელნაწერ წიგნებს, არამედ შეკვეთებსაც იღებდნენ სხვადასხვა მონასტრებიდან. მაგალითად, შეიძლება ხელნაწერი გადაწერილი ყოფილიყო ოშკში, მაგრამ შეეწირათ პარხალის მონასტრისთვის. ეს წარწერები მეტ-ნაკლებად შემორჩენილი აქვს ზოგიერთ ხელნაწერს და სწორედ აქედან ვიგებთ მის წარმომავლობას ან მის „მოგზაურობას“. თუმცა, ქართულ ხელნაწერებს ნაკლებად აქვს ასეთი ანდერძ-მინაწერები, რომლის მიხედვითაც საშუალება გვეძლევა აღვადგინოთ, თუ ვინ არის ამ ხელნაწერის შემკვეთი ან გადამწერი. იშვიათია ვიცოდეთ ხელნაწერის გადამწერი კონკრეტული პიროვნება ან უბრალოდ მხოლოდ სახელია მინიშნებული. ასეთი მინიშნების დროს, დოკუმენტების ან ისტორიული წყაროების მიხედვით დგინდება, თუ ვინ არის გადამწერი. ძალიან იშვიათია შემთხვევა, როცა ერთი და იმავე გადამწერის სახელი ფიქსირდება რამდენიმე ხელნაწერში. ეს, გარკვეულწილად, იმით გამოიხატება, რომ ძალიან თავმდაბლები იყვნენ ბერები და ცდილობდნენ, თავიანთი სახელი ხელნაწერ წიგნში არ დაეფიქსირებინათ. თუმცა, გვაქვს გარკვეული მინიშნებები ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით – ეს ხელნაწერი გადაიწერა, ვთქვათ, საქართველოში ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ან კონსტანტინოპოლში ბიზანტიის იმპერიის დროს, ან ანტიოქიაში ანტიოქიის პატრიარქის პატრიარქობის დროს. შესაძლოა, თარიღი აღარც კი იკითხებოდეს, წაშლილი იყოს, მაგრამ ამ პიროვნებების მოღვაწეობის პერიოდის მიხედვით, მეტ-ნაკლებად, შესაძლებელია ხელნაწერის დათარიღება.

როგორც გითხარით, ქართული ხელნაწერის გარკვეული ეტაპი დაკავშირებულია ტაო-კლარჯეთის სკოლასთან საქართველოს ტერიტორიაზე, შემდგომ და შემდგომ არეალი უფრო ვრცელდება და საქართველოს თითქმის ყველა მონასტრიდან გვაქვს ხელნაწერები. ამასთანავე, ამ პერიოდში, XI-XIII საუკუნეები, წიგნის ხელოვნება – წიგნის მხატვრული გაფორმება აყვავების ფაზაშია. ამ პერიოდში ხელნაწერები არა მხოლოდ გადაინუსხებოდა, არამედ მხატვრულად ფორმდებოდა. თუმცა, რადგანაც ეტრატი რთული დასამუშავებელი და ძალიან ხარჯიანიც იყო, ცდილობდნენ, ძირითადი ნაწილი ტექსტს ჰქონოდა დათმობილი. კიდევ ერთი გასათვალისწინებელი მომენტია იმდროისთვის ისიც, რომ X საუკუნეში ასომთავრული დამწერლობა, ნუსხა-ხუცურით იცვლება, ამდენად, XI საუკუნიდან ხელნაწერები, ძირითადად, ნუსხა-ხუცური ანბანით გვხვდება.

– სწორედ ამ პერიოდიდან შემოდის წიგნის მხატვრული გაფორმების ელემენტები, მინიატურები, დასურათება... უფრო კონკრეტულად როდის ჩნდება ქართულ ტრადიციაში პირველი მინიატურა?

– ხელნაწერის შესრულებაში და საერთოდ მის განვითარებაში ასევე დიდ როლს თამაშობდა შემკვეთი. თუ მისი მოთხოვნა იყო, რომ ხელნაწერში მეტი მხატვრული გაფორმება ყოფილიყო, ბუნებრივია, ხელნაწერებში უხვად ჩნდება მხატვრული გაფორმება. რადგანაც მოთხოვნა, ძირითადად, სასულიერო ხასიათის ლიტერატურაზე იყო, ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერების უმეტესობა სასულიერო ხასიათისაა. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სახარება – ოთხთავების გაფორმება. ადრეული პერიოდის სახარებები (X-XI სს.) მხატვრული ელემენტების ძალიან მცირე რაოდენობას შეიცავს, XII საუკუნის ხელნაწერებში – „გელათის ოთხთავი“, „ჯრუჭის ოთხთავი“ – სრულიად ზედმიწევნითა და ზუსტად არის წარმოდგენილი სახარებისეული ისტორიის თხრობა და ზოგიერთში 250-მდე მინიატურაა ჩართული. ქართულ ტრადიციაში პირველი მინიატურა IX საუკუნიდან ჩნდება და ესეც სახარების გაფორმებაა. თუმცა, ვარაუდობენ, რომ მინიატურები ხელნაწერებში ადრეც იყო გამოყენებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია. პირველი დასურათებული წიგნი ჩვენში ადიშის სახარებაა, შემდეგ ჯრუჭის სახარება, ჯრუჭის I სახარება და ა.შ. ასევე სხვადასხვა ლიტერატურული ხასიათის კრებულები, რომლებიც ითვლება, რომ მხატვრულადაა გაფორმებული, მაგრამ ეს მხატვრული გაფორმება ინიციალი ან ორნამენტული დეკორია. ასეთივეა მიქაელ მოდრეკილის „იადგარი“, სადაც, ძირითადად, ორნამენტებია გამოყენებული.

მინდა აღვნიშნო, რომ XI საუკუნის ძეგლებიდან ძალიან მნიშვნელოვანია სვინაქსარი (დაახლოებით 1030 წელსაა შესრულებული და უკავშირდება ათონის, ანუ კონსტანტინოპოლის სკოლას), რომელშიც წარმოდგენილია წმინდანების ხატისებური სახეები.

გვხვდება ასევე სხვადასხვა ხასიათის ლიტურგიკული კრებულები, სადაც საზეადაო ასოებია გამოყენებული. შემდეგ კი, X საუკუნის ბოლოდან და XI საუკუნიდან, როგორც გითხარით, დასურათების ერთგვარი პრინციპები იცვლება და ამ დროს თითქოს სავალდებულო ხდება ყველა ხელნაწერში მხატვრული გაფორმების ელემენტების შეტანა. გარდა ამისა, იცვლება ტექსტის ფორმაც. ტექსტი ზოგ შემთხვევაში ორ სვეტადაა გადაწერილი, ხოლო ზოგ შემთხვევაში – ერთ სვეტად. გამოყოფილია ცალკეული ადგილები, სადაც უნდა ჩაერთოს მხატვრობა. სხვადასხვა შინაარსის სასულიერო ტექსტს – ოთხთავს, ზატიკს, ფსალმუნებსა თუ სხვ. – დასურათების განსხვავებული პრინციპი ჰქონდა, რომლებიც მკაცრად იყო დაცული და გათვალისწინებული.

ამ მხრივ ძალიან საინტერესოა მოქვის სახარება, რომელიც მოქვის მონასტერში გადაიწერა. ხელნაწერი დათარიღებულია 1300 წლით და მისი გადაწერის მხატვრული პრინციპები, სტილური თავისებურებები, გარკვეულწილად, შეესაბამება ბიზანტიასა და ქართული კედლის მხატვრობაში გავრცელებულ მხატვრულ სტილურ მიმართულებებს. მოქვის სახარება პალეოგოსური ხელოვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა არა მხოლოდ ქართულ, არამედ ქრისტიანულ სამყაროში.

XIV-XV საუკუნეებში უხვად დასურათებული ხელნაწერები უკვე აღარ გვხვდება (ვსაუბრობ ოთხთავებზე), არის მხოლოდ მახარებელთა გამოსახულებები და კაბარები. მაგრამ ამ დროს ჩვენთან შემოდის ხელნაწერების ახალი ტიპი – ფსალმუნების დასურათება (XIII ს.). ერთში დაახლოებით 140-მდე მინიატურაა, მეორეში – 55. ფსალმუნის ტექსტები ძირითადად დავითის საგალობელია უფლისადმი მიძღვნილი. აქ წარმოდგენილია ბიბლიური დავითის ისტორია და ძალიან მნიშვნელოვანი სიუჟეტები ბიბლიიდან, ანუ ბიბლიური სიუჟეტებითაა გამდიდრებული ფსალმუნის დასურათებული ტექსტი.

ასევე ქართულ ხელნაწერში შემოდის ზატიკის დასურათება, ლიტურგიკული ხასიათის კრებული, რომელიც მოიცავს გარკვეულ საგალობლებს აღდგომიდან სულიწმინდის მოფენის ჩათვლით. შემდგომში სახარების გვერდით ლიტურგიკული, განსხვავებული ხასიათის კრებულები ჩნდება.

გარდა ამისა, XV საუკუნეს განეკუთვნება სანკტ-პეტერბურგის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული საინტერესო ხელნაწერი, რომელიც ქართულ-ბერძნული ხელნაწერის

სტუმარი

სახელითაა ცნობილი, ზომით საკმაოდ პატარაა, მასში 700-მდე ფიგურაა ჩართული. ის იმითაც საინტერესოა, რომ ჩართულია მთელი საქრისტიანოს ყველა წმინდანის გამოსახულება, ბიბლიური პერსონაჟების პორტრეტები. ჩვენთვის ეს ხელნაწერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში გამორჩეულია ქართველი წმინდანები – პეტრე იბერი, ილარიონ ქართველი, იოანე და გიორგი მთაწმინდელები, ასევე წმინდა ნინო. ეს პირველი კრებულია, სადაც ასე უხვად არიან წარმოდგენილი ქართველი წმინდანები. ზოგ შემთხვევაში მათი გამოსახულება ორ-ორჯერ გვხვდება.

– რა პერიოდიდან ჩნდება პირველი საერო ხელნაწერი წიგნი?

– ადრეული ხანიდან სასულიერო ხელნაწერების გვერდით ძალიან იშვიათად გვხვდება საერო ხასიათის ხელნაწერები. ყველაზე ადრეული საერო ხასიათის ხელნაწერი „ასტროლოგიური ტრაქტატია“, რომელიც 1188 წლითაა დათარიღებული და მასში წარმოდგენილია მთვარის ფაზები და ზოდიაქოს ნიშნები. შეიძლება ითქვას, რომ მკვეთრად გამოხატული გრაფიკული მანერითაა შესრულებული და, გარკვეულწილად, არაბული ხელნაწერის გავლენა იგრძნობა. ამის შემდეგ საერო ხელნაწერებში გვაქვს საკმაოდ დიდი ლაკუნა. საერო ხელნაწერების დასურათება XVI საუკუნეში გრძელდება. ამას თავისი პირობები ჰქონდა. მანამდე კი საქართველოში კვლავ აქტუალური იყო სასულიერო ხასიათის ძეგლების გადაწერა და შემკობა. როგორც გითხარით, XI საუკუნიდან XIII საუკუნის ჩათვლით ქართული ხელნაწერის აყვავების პერიოდი იყო და, შესაბამისად, სწორედ ამ პერიოდიდან შემოგვრჩა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი მხატვრულად გაფორმებული ხელნაწერი ძეგლებისა, რომლებიც ტოლს არ უდებდნენ იმდროინდელ ცივილიზებულ სამყაროს, კონკრეტულად კი ბიზანტიურ მხატვრულ სკოლებს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდში საქართველოში მძიმე პოლიტიკური მდგომარეობა იყო, ერთი მხრივ – სპარსეთი და მეორე მხრივ – ოსმალეთი ცდილობდა თავისი გავლენის გავრცელებას. XVI საუკუნიდან ჩვენში ჩნდება საერო ხელნაწერების დასურათებული ნიმუშები, მათი არსებობა უპირველესად იმან განაპირობა, რომ ამ პერიოდში მჭიდრო კავშირი იყო აღმოსავლეთის ქვეყნებთან და უხვად შემოდიოდა და ითარგმნებოდა ქართულად იქაური ლიტერატურული ნიმუშები. ცნობილია, რომ მათი სასულიერო წიგნი „ყურანი“ არასოდეს ყოფილა დასურათებული და, ამდენად, მთელი აღმოსავლეთის მხატვრების ფანტაზია ლიტერატურული ძეგლების დასურათებაზე გადავიდა. აქედან გამომდინარე, მაგალითად სპარსული ლიტერატურული ძეგლები – „ვისრამიანი“, „შაჰნამე“ უხვად იყო დასურათებული. ამ კულტურული კავშირის დროს ეს ძეგლები ქართულადაც ითარგმნა და მათი დასურათებული ნიმუშიც შემოვიდა ჩვენში. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ დაიწყო საერო ლიტერატურული ნიმუშების გაფორმება.

ერთ-ერთი ყველაზე ადრეულია იოსებ ზილიხანიანის გაფორმება, საინტერესო იყო „ვისრამიანის“, „როსტომიანის“ მხატვრული გაფორმება. ასევე ინდური ეპოსის, რომელიც სპარსულიდან ითარგმნა – „ქილილა და დამანა“ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ანალოგიური აღმოსავლური ტენდენციებითაა გაფორმებული. პირველი ჩვენამდე მოღწეული „ვეფხისტყაოსნები“, რომლებიც XVII საუკუნიდან გვხვდება – ავალიშვილისეული, წერეთლისეული – სპარსული და ირანული ხელოვნების ძალიან დიდ გავლენას ატარებდა. ამ ჯგუფში სრულიად დამოუკიდებელია მამუკა თავაქარაშვილის მიერ XVII საუკუნეში ლევან დადიანის კარზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებული ნუსხა. თუმცა, მისი შემოქმედება უფრო ხალხურ ნაკადს ეკუთვნის და საინტერესოა იმითაც, რომ აღდგენილი აქვს ამ პერიოდის სამეგრელოსთვის დამახასიათებელი ყოფითი დეტალები. თუ მას შევადარებთ იტალიელი მისიონერების ჩანახატებს, რომლებიც იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ სამეგრელოში, გარკვეული ანალოგიების დაძებნას შევძლებთ. თავისებურ მნიშვნელობას იძენს მამუკა თავაქარაშვილისეული „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ იმით, რომ ღრმა ქართულ ტრადიციებზეა შესრულებული და ნაკლებად იგრძნობა აღმოსავლური გავლენა, ეს ყველაფერი კი მას განსაკუთრებული ძეგლის მნიშვნელობას ანიჭებს.

– მოგვიანებით საქართველოში მხატვრული სკოლებიც ჩამოყალიბდა...

– მხატვრული სკოლები ჩამოყალიბდა არა მხოლოდ მონასტრებთან, არამედ სამეფო ან სათავადო კართან. ერთ-ერთი ასეთი იყო, XV-XVI საუკუნეების მიჯნაზე, სამცხე-საათაბაგოს მხატვრული სკოლა, რომელიც ჯაყელების ოჯახის პატრონაჟით ვითარდებოდა. საინტერესოა ისიც, რომ ძალიან ბევრი ხელნაწერია მათ მიერ შესრულებული. ჯაყელები არა მხოლოდ საქართველოში პატრონობდნენ ძეგლებს, არამედ ძალიან დიდი იყო მათი შესაწირი ათონის მთის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრებისადმი. გვხვდება ხელნაწერები, რომლებიც მათი შეკვეთითაა გადაწერილი იერუსალიმში. ასევე მათ თავიანთი სასახლის კარზე ჰქონდათ სკრიპტორიუმი და მთელი რიგი ხელნაწერებისა იქ არის შესრულებული.

– გვიანი პერიოდის ხელნაწერებში რა ცვლილებები იგრძნობა და რომელ საუკუნემდე გრძელდება ქართული ხელნაწერი წიგნის ისტორია?

– მოგვიანებით შემოდის ახალი ტიპის ხელნაწერები გულანის სახით – კრებული, რომელშიც ჩართული იყო ყველა ტიპის ლიტურგიკული კრებული, რაც სჭირდებოდა სასულიერო პირს მღვდელთმსახურების დროს. ეს არის უზარმაზარი ხელნაწერი, რომლის მხოლოდ რამდენიმე ტომია შემორჩენილი. საინტერესოა ისიც, რომ იმ პერიოდში, როცა ანტიოქიის პატრიარქმა მაკარიოსმა საქართველოში იმოგზაურა, გაკვირვებული დარჩა ასეთი ტიპის ხელნაწერით. არც მანამდე და არც შემდეგ მსგავსი ხელნაწერი არ შექმნილა – XVI საუკუნეში იწყება და ყველაზე მნიშვნელოვანი XVII-XVIII საუკუნეებს მიეკუთვნება. შესაბამისად, იქ ჩართული სახარებისეული საკითხავები, წმინდანთა ცხოვრება ძალიან კარგად იყო შესრულებული – გაფორმებული. უმნიშვნელოვანესი ძეგლებია, ასევე ამ პერიოდისათვის, ანჩისხატის გულანი და შემოქმედის გულანი.

ზოგადად, რაც შეეხება გვიან პერიოდს, ის უფრო ინერციით ვითარდებოდა, იმდენად, რამდენადაც ძალიან ძლიერი იყო აღმოსავლური გავლენა. თუმცა აღმოსავლური გავლენა მხოლოდ ელემენტარული სახით შევიდა სასულიერო ხასიათის გაფორმებაში და ორნამენტებში გამჟღავნდა. ხოლო სხვა ხელნაწერები, მხატვრული თვალსაზრისით, იმეორებენ პოსტბიზანტიურ ან პოსტპალეოგოსურ მხატვრულ ტრადიციებს, რაც მათთვის დამახასიათებელ სტილ-ნიშნებში ვლინდება.

შემდგომ თანდათან შემოდის რუსული და ევროპული გავლენა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ამისთვის სხვა დონის პროფესიონალი იყო საჭირო, გარკვეულწილად, მათი გავლენა ნაკლებად იგრძნობა ქართულ ხელნაწერებში. გარდა ამისა, ნაბეჭდი წიგნის გამოსვლამაც გარკვეულად შეაფერხა ხელნაწერის განვითარება, თუმცა, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი ერთდროულად თანაარსებობდა.

როცა ქართულ ხელნაწერ წიგნზე ვსაუბრობთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ XVIII საუკუნის ჩათვლით იარსება ქართულმა ხელნაწერმა, თავისი საინტერესო მხატვრული შედგენილობით, შინაარსით, მრავალფეროვნებითა და მხატვრული გაფორმების ელემენტების ნაირსახეობებით.

– დაბოლოს, რას იყენებდნენ მელნად ან მინიატურების გასაფერადებლად. ძალიან საინტერესოა ისიც, რომ ქართულ ხელნაწერებში ჩნდება „ოქროს ფონები“?

– თავდაპირველად მელანი ბუნებრივი მასალით მზადდებოდა. ქართულ ტრადიციაში ყავისფერის სხვადასხვა ტონალობა და შავი მელანი გამოიყენებოდა. საინტერესოა სინგური – წითელი ფერის საღებავი, რომელიც, ძირითადად, გასაფორმებლად, მაგალითად, სათაურის დასაწერად ან მნიშვნელოვანი ადგილების აქცენტების მოსანიშნად იხმარებოდა. ქართულ ხელნაწერ წიგნში ვხვდებით ასევე ოქროს მელანსაც. ოქრო ხელნაწერებში ორგვარად გვხვდება – ოქროს მელნით, რომელსაც ხსნარის სახე ჰქონდა, აფერადებდნენ ან წერდნენ; ასევე ფურცლოვანი ოქრო – უთხელესი ფირფიტა, რომელსაც ზედაპირზე ამაგრებდნენ და შემდეგ მასზე ხატავდნენ. მაგალითად, მოქვის ოთხთავში სწორედ ფურცლოვანი ოქროა დაფენილი და მასზეა შესრულებული მხატვრობა. ხელნაწერში ოქროს ამგვარი სახით გამოყენება იშვიათია, უმეტესად ჯერ გამოსახულება იხატებოდა და შემდეგ უკეთდებოდა ფონი ოქროს მელნით.



შემოქმედის გულანი, ამაღლება

გელათის ოთხთავი, ამაღლება

ინფორმაცია

„ანა ფრანკის სახლი ამსტერდამიდან“ თბილისში გამოფენა გაიხსნა



თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში ანა ფრანკის სახლის (ამსტერდამი) ორი გამოფენა – „იკითხე და წერე ანა ფრანკთან ერთად“ და „ანა ფრანკი – აქტუალური ისტორია“ გაიხსნა. გამოფენა გიმნაზიის დირექტორმა **ამირან ჯამაგიძემ**, საქართველოს პირველმა ლედიმ **სანდრა რულოვსმა** და საქართველოს გაეროს ასოციაციის წარმომადგენლებმა გახსნეს. პროექტის ფარგლებში, ჰოლანდიურიდან ქართულ ენაზე ითარგმნა „ანა ფრანკის დღიური“. ასევე, იგეგმება საქართველოს 10 ქალაქის საჯარო სკოლის ბიბლიოთეკაში ქართულენოვანი წიგნის დარიგება და ამავე ქალაქებში მოძრავი გამოფენის – „ანა ფრანკის სახლი ამსტერდამიდან“ – მოწყობა.

საგანმანათლებლო პროექტი „ანა ფრანკი – აქტუალური ისტორია“ საქართველოში ჰოლანდიის საელჩოს, პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის ჯანსაღი ცხოვრების წესის ინიციატივის „Don’t Worry, Be Healthy!“, ანა ფრანკის სახლის და საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ ჰოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

გამოფენა განკუთვნილია 10-16 წლის მოზარდებისათვის. ღიაა ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 15 საათიდან 18 საათის ჩათვლით. გამოფენა თბილისში 15 ივნისამდე გასტანს.

ინფორმაცია

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა მე-15 საზეიმო გამოშვება

6 ივნისს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში კურსდამთავრებულთა მე-15 საზეიმო გამოშვება გაიმართა.

მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორები და სხვა საპატიო სტუმრები.

წელს საბაკალავრო პროგრამას 200-მდე კურსდამთავრებული ჰყავს, მათ შორის არიან ბიზნესის მართვის, სოციალურ მეცნიერებათა, ამერიკისმცოდნეობის, კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტების სტუდენტები.

ღონისძიებაში უნივერსიტეტთან არსებული მუსიკალური ბენდი და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლი მონაწილეობდნენ. სტუდენტები განსაკუთრებით ემზადებოდნენ გამოსაშვებისთვის, მათ სხვადასხვა ტიპის ნომრები ჰქონდათ მომზადებული, რამაც განსაკუთრებული ელფერი შემატა ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

შავი ზღვის საერთაშორისო
უნივერსიტეტის პრესცენტრი

მარტყოფის მეორე საჯარო სკოლა 250 წლისაა

სოფელ მარტყოფის მეორე საჯარო სკოლამ (დირექტორი – **ელისაბედ ჩქარეული**), პროექტით „წმინდა ანტონ მარტყოფელი და მარტყოფში განათლების 250-წლიანი ეპოქა“ (პროექტის ავტორი – პედაგოგი **სალომე ყველაშვილი**), დაარსებიდან 250 წლის იუბილე აღნიშნა. პროექტი მიზნად ისახავდა სოფლის ისტორიული და სულიერი ფასეულობების გაცნობას ფართო საზოგადოებისთვის. კვირეულის ფარგლებში არაერთი ღონისძიება გაიმართა, რომელსაც საპატიო სტუმარებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი** დაესწრო.

ღონისძიების ფარგლებში, სოფელ მარტყოფისა და სკოლის ისტორიისადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნა, ჩატარდა საჩვენებელი გაკვეთილი და სასკოლო კონფერენცია, ისტორიის კაბინეტს აკაკი მათიაშვილის სახელი მიენიჭა. კვირეული საზეიმო კონცერტით დასრულდა, რომელზეც პროექტის მონაწილეებმა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია წარმოადგინეს.

მარტყოფი უმდიდრესი კულტურისა და სახელოვანი ისტორიის მქონე სოფელია, ამ ისტორიის ნაწილია მარტყოფის მეორე საჯარო სკოლა. სოფელში განათლების ისტორია წმინდა ანტონ მარტყოფელის საგანმანათლებლო მოღვაწეობით დაიწყო. სკოლა წმ. ანტონ მარტყოფელის სავანიდან სოფელ მარტყოფში 1752 წელს გადმოვიდა.

ორსაუკუნენახევრის მანძილზე მარტყოფის მეორე საჯარო სკოლამ ბევრი საინტერესო ტრადიცია დაამკვიდრა. დღეს სკოლას 400-მდე მოსწავლე და 45 პედაგოგი ჰყავს. მოზარდები აქტიურად არიან ჩართული სასკოლო ოლიმპიადებში, მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებსა და კონფერენციებში. სკოლის კურსდამთავრებულები, ყოველწლიურად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მაღალ შედეგებს აჩვენებენ და გრანტის მფლობელები ხდებიან.

ამაგდარ დირექტორებს სამინისტროს ჯილდო გადაეცათ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **გიორგი მარგველაშვილის** ინიციატივით, განათლების სისტემის თანამშრომელთათვის, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით მომავალი თაობის აღზრდაში, სამინისტროს ჯილდო – სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ დაწესდა. პირველი ჯილდო გიორგი მარგველაშვილმა ნინოწმინდის რაიონის სოფელ ფოკის სომხურენოვანი საჯარო სკოლის ქართული ენის მასწავლებელს **კლარა ფოცხვერაშვილს** გადასცა. სამკერდე ნიშანი „ამაგდარი“ გადაეცა, ასევე, მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს მეორე საჯარო სკოლის დირექტორს **ადილ შარიფოვს.**

კლარა ფოცხვერაშვილი ნინოწმინდაში, 1990 წელს, განათლების სამინისტროს პროექტის ფარგლებში ჩავიდა. პროგრამა ქართული ენის გაძლიერებულად სწავლებას ითვალისწინებდა. იგი დღემდე სოფელ ფოკის სომხურენოვან საჯარო სკოლაში ქართულ ენას ასწავლის და აქტიურადაა ჩართული სკოლის ცხოვრებაში. მისი მოსწავლეები სხვადასხვა კონკურსებსა და ღონისძიებებში მონაწილეობენ, ქართულ ენაზე სპექტაკლებს დგამენ. ფოკის საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა უმეტესობა, რომელიც სტუდენტი ხდება, ქალბატონ კლარას მოსწავლეები არიან.

ადილ შარიფოვს წელს დაბადებიდან 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. იგი სადახლოს მეორე საჯარო სკოლაში 5 წელი მასწავლებლად მუშაობდა, 19 წელი სასწავლო ნაწილის გამგე იყო, 26 წელია სკოლას ხელმძღვანელობს. მომავალი თაობის აღზრდაში შეტანილი წვლილის გამო, მას არაერთი სახელმწიფო ჯილდო აქვს მიღებული, არის ენერგიული და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი, რომელსაც ყველაზე მძიმე პერიოდშიც სკოლა არ დაუტოვებია.

სამკერდე ნიშნის „ამაგდარი“ გაცემის მიზანი განათლების სფეროში დასაქმებულ ადამიანთა ღვაწლის დაფასება, მოტივაციის ამაღლება, ასევე ახალი პროექტების, ინიციატივების წახალისება, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ხელშეწყობაა. პირველ ეტაპზე, სამინისტრო სამკერდე ნიშნით საქართველოს საჯარო სკოლების ათ ღვაწლმოსილ პედაგოგს აჯილდოებს.

მიყვარხარ, საქართველო!

ვინ თქვა, რომ მერვე საოცრება არ არსებობს? ვისაც რა უნდა, ის მიაჩნდეს მერვე საოცრებად, მე კი ვფიქრობ, რომ ეს ადამიანია! დიახ, თვითონ ადამიანი, რომლის ინტერესთა სფერო განუსაზღვრელია. ალბათ იმიტომაც, რომ ზოგს ფიზიკა აინტერესებს, ზოგს – მედიცინა, ზოგს – ასტრონომია, ზოგს კი – გეოგრაფია და ა.შ.

ჩემი, როგორც მოსწავლის, ინტერესი (რომელიც რატომღაც მხოლოდ მედიცინითა და სამართალმცოდნეობის საკითხებით შემოიფარგლებოდა) ერთ დღეს რადიკალურად შეიცვალა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ სკოლა-ლიცეუმ შპს „ცოდნას“ (დირექტორი – ქალბატონი **ნაზი ნადირაძე**) მოსწავლეები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წაგვიყვანეს. გვიხაროდა, ყველა თაობის სამარადჟამოდ სათაყვანებელი და „ცოდნის ტაძრად“ წოდებული უმაღლესი სასწავლებლის „საბავშვო უნივერსიტეტში“ გეოგრაფიის ლექცია რომ უნდა მოგვესმინა. ჩემმა სიხარულმა ისე დამაბნია, რომ არც კი გამიაზრებია ლექციის სავარაუდო თემა. როგორც ვთქვი, მე უფრო ის მიხაროდა, რომ „თსუ“-ში ლექცია უნდა მომესმინა. პირველი ლექცია პროფესორმა **გიორგი დვალიშვილმა** წაგვიკითხა მღვიმეების შესახებ და შემდეგ კი არც თუ ისე დიდი ხნის წინ აღმოჩენილ (ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელ) „თსუ - 95“-ზე პრეზენტაცია მოაწყო. ეს ყველაფერი ჩემთვის ისეთი საინტერესო აღმოჩენა იყო, რომ სწორედ მაშინ მივხვდი, რა უდიდესი საიდუმლოების „შემნახველი“ ყოფილა მღვიმეები (ე.წ. კარსტული რელიეფის სახე, როგორც მას გეოგრაფიული მეცნიერება უწოდებს).

– ხედავ, რა საინტერესო და მომხიბვლელი ყოფილა საქართველოს გეოგრაფია, მე კი რატომღაც არ მეგონა ასეთი მნიშვნელოვანი. თურმე, როგორ ვცდებოდი! – ჩუმად ვეუბნებოდი ჩემს თავს და გუნებაში თითქოს ვეკამათებოდი კიდეც.

პროფესორის საუბრის პარალელურად, მახსენდებოდა ჩემი გეოგრაფიის მასწავლებლის – ბატონი გიორგი ხელაშვილის ახსნილი გაკვეთილები და საუბრები, რომლებიც ისე „გაგიყოლიებს“ საგაკვეთილო თემისკენ, რომ ვერც შეამჩნევ. შემდეგ ზუსტად გამახსენდა გაკვეთილის თემაც – „რელიეფის სახეები“, რომელიც თავიდან უინტერესოდ მომეჩვენა. გულით ვერ ვუსმენდი მასწავლებელს, მაგრამ მან გაკვეთილი სურათების ჩვენებითა და დიალოგით წაიყვანა, ჩვენვე „აგვახსნევინა“ და გულისყურითაც „მოგვასმენინა“.

ლექციის დასასრულს, პროფესორმა გიორგი დვალიშვილმა ჩვენ მიერ დასმულ კითხვებზე გვიპასუხა და დავალებაც მოგვცა; მოკლედ დაგვიწერა თემები საქართველოს მღვიმეების შესახებ; ვისი თემაც საუკეთესო აღმოჩნდებოდა, ის უახლოეს მომავალში ჭიათურაში წავიდოდა, „თსუ-95“-ის გამოკველვებში მონაწილეობის მისაღებად, თსუ გეოგრაფიის კათედრის თანამშრომლებთან და სტუდენტებთან ერთად.

მეორე ოთხშაბათს (ლექციები ყოველი კვირის ოთხშაბათ დღეს 1600 საათზე ტარდება, წინასწარ შერჩეული თემატიკისა და პროგრამის მიხედვით) იქ დამსწრე სკოლების მოსწავლეებმა თემები ჩავაბარეთ და მესამე ოთხშაბათს საუკეთესო ავტორები დაგვასახელეს. შემდეგ კი, დაგვირეკეს და ექსპედიციაში მონაწილეობის მისაღებად მიგვიწვიეს. აპრილის ბოლო შაბათს, დილის 8 საათზე, თბილისიდან ჭიათურისკენ ავიღეთ გეზი. ტრანსპორტში მე სტუდენტებთან ერთად მოვხვდი, მაგრამ სიხარულთან ერთად დაბნეულობაც მომემატა. ისევ მათ მიერ გამომჟღავნებულმა გულთბილმა დამოკიდებულებამ გამათამამა. ისინი ყურადღებას არ მაკლებდნენ და სკოლის მოსწავლეს სტუდენტურ ამბებს მიყვებოდნენ... თუმცა, მე მღვიმე უფრო მაინტერესებდა და ათასფერებად წარმოვიდგენდი მას. როგორც კი ადგილზე მივედით, მაშინვე მღვიმეში ჩავედით და უცნაური გრძნობა დამეუფლა. თანდათანობით, ქვევით ჰაერი შეიცვალა და ჩვენ მხოლოდ მესამე სართულამდე ჩავედით. მე კი უფრო სხვანაირი წარმომედგინა: საოცარი, საინტერესო, რაღაც იდუმალების მომცველი. მართლაც, შევედით თუ არა, მღვიმის სიღრმეში სინათლე „ჩაბუდებულ“ სიბნელეში გადაიზარდა, რასაც წყლის წვეთების „ჩუმი“ ხმა და ექო დაემატა... ამან მართლაც განსხვავებული სამყაროს შეგრძნება გამიჩინა და დამუნჯებული ვუსმენდი, ვუყურებდი ყველაფერს. ამ დროს ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ბატონმა გიორგი დვალიშვილმა მთხოვა რამდენიმე სიტყვით გადმომეცა ჩემი ემოციები. მახსოვს, ძლივს მოვახერხე რამდენიმე სიტყვის თქმა და გაოცებულმა გავაგრძელე მღვიმეთა მშვენებანის – სტალაგმიტებისა და სტალაქტიდების, სტალაგნატების და ჰალიქტიდების დათვალიერება (თან დროდადრო ამ ნაზ ნაღვენთებს სურათებს ვუღებდი, ვფიქრობდი, რომ სამახსოვროდაც გამომადგებოდა, „ფეისბუკსაც“ გავალამაზებდი და სკოლაში დაბრუნებისას ჩემს კლასელებსაც ვუჩვენებდი ჩემი შთაბეჭდილებების პრეზენტაციის დროს). შევამჩნიე, რომ მესამე „სართული“ დაახლოებით, 11-12-მეტრიანი „დარბაზი“ ოქროსფრად ბრჭყვიალებდა. სტუდენტებმა ამიხსნეს, რომ ეს მანგანუმის ფრაგმენტები იყო. ჭიათურაში ხომ მანგანუმის საბადოებია! შემდეგ ისევ წყლის ხმაურს დავუგდე ყური და რაღაც მუსიკალურობაც ვიგრძენი; თითქოს უცნაურ მელოდიასაც მივამსგავსე. თანაც რაღაცა გასაოცარი სუნიც შევიგრძენი... მინდოდა, ასე ვმდგარიყავი დიდხანს „დარბაზში“, მაგრამ მღვიმიდან ამოსვლის დრო დადგა და სხვებთან ერთად გასასვლელისკენ წამოვედი. თუმცა, ცოტა უკან ჩამოვრჩი და ნაბიჯსაც მოვუნელე. მინდოდა, ღრმად ჩამჯდარიყო ჩემს გონებაში მღვიმის წყლის წვეთების განსაკუთრებული ხმაური, რომელიც დროთა განმავლობაში, ნაღვენთების სახით, ზღაპრული გმირების სხვადასხვა საოცარ ფიგურებს ქმნიან და აოცებენ მნახველებს...

გამოვედით მღვიმიდან და ახლა მღვიმის ირგვლივ გადაშლილმა ჭიათურის სილამაზემ (თითქოს პირველად დავინახე და უფრო ძალიან ლამაზად მომეჩვენა მღვიმიდან რომ გამოვედი) მომტაცა თვალი. ამას ალბათ ჭიათურელი ხალხის ენით აღუწერელი სტუმართმოყვარეობა დაემატა და იქიდან წამოსვლის სურვილიც გამიქრა!

ყოველივე ამის დასადასტურებლად შემიძლია გითხრათ, რომ ასეთი ექსპედიციის შემდეგ არანაირი სურვილი არ გექნებათ წახვიდეთ რომში, პარიზში, ლონდონში, ვენეციაში... აუცილებლად მიხვდებით, რომ ჯერ თქვენს ქვეყანაშიც არ გაქვთ ბევრი რამ ნანახი. თუ ესეც მოხდა, რომ თქვენც ჩემსავით ასეთ საინტერესო ექსპედიციაში გაემგზავრებით და, სულ ბოლოს, მდინარე ყვირილას საბაგირო გზით გადაუვლით, მაშინ სულ სხვანაირი გრძნობა და სიამაყე დაგეუფლებათ! მჯერა, ბუნებრივად გაგიჩნდებათ ძლიერი სურვილი ჩემსავით ხმამაღლა დაიძახოთ: „მიყვარხარ, საქართველო“.

მარიამ ქისიშვილი
VIII კლასის მოსწავლე
სკოლა-ლიცეუმი შპს „ცოდნა“



P.S. ვაღიარებ, რომ წერილის დაწერას თავიდან არ ვფიქრობდი, რადგან ექსპედიციის შთაბეჭდილებები დიდხანს გამყვა და სასიამოვნო მოგონებები დღესაც მომდევს, მაგრამ ამ დღეებში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის „საბავშვო უნივერსიტეტიდან“ სკოლაში იმ მოსწავლეების სერტიფიკატები მოვიდა, რომლებიც მუდმივად ვესწრებოდით ლექციებს. ბუნებრივია, ეს ფაქტი ყველას ძალიან გაგვიხარდა და მივხვდით კიდევაც, რომ გეოგრაფია ძალიან, ძალიან საინტერესო საგანია. ჩვენი დაკავშირებაც მასთან უკვე ისე მჭიდროდ მოხდა, რომ ჩვენი პროფესია და მომავალი, ალბათ, გეოგრაფიას ან გეოლოგიას დაუკავშირდება.

ინფორმაცია

სასკოლო სახელმძღვანელოები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს გადაწყვეტილებით, 2013-2014 სასწავლო წლისათვის, საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები სასკოლო სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ. სახელმძღვანელოების ბეჭდვას „გაერთიანებული ქართული სტამბა ფავორიტი პრინტი და მვპ“ უზრუნველყოფს. მილიონ-ნახევარი სასკოლო სახელმძღვანელო უკვე დაბეჭდილია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი** გაერთიანებულ ქართულ სტამბაში მივიდა და პირადად გაეცნო ბეჭდვის პროცესს. ასევე მოინახულა ადგილი, სადაც დაბეჭდილი წიგნების დასაწყობება მიმდინარეობს.

„გაერთიანებული ქართული სტამბა ფავორიტი პრინტი და მვპ“ ოთხი ქართული მაღალტექნოლოგიური პოლიგრაფიული საწარმოს (შპს ფავორიტი პრინტი, შპს ფორმა, შპს სეზანი და შპს მვპ (24 საათის სტამბა) და მასთან არსებული მცირე პოლიგრაფიული წარმოებების გაერთიანებით შეიქმნა და დღეს, 9 ქართული სტამბა მუშაობს სასკოლო სახელმძღვანელოების ბეჭდვაზე. პროექტის ფარგლებში, 1600 საქართველოს მოქალაქეა დასაქმებული.

სამინისტროს ახალი ინიციატივა, გარდა იმისა, რომ ასობით მშობელს სახელმძღვანელოების შეძენის პრობლემას მოუხსნის, ხელს შეუწყობს ქართული პოლიგრაფიული და სხვა ქართული ბიზნესების, კერძოდ: პოლიგრაფიული მასალების იმპორტიორი კომპანიების, სატრანსპორტო კომპანიების და სასაწყობო მეურნეობების აღორძინებას, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ყველა გადასახადი დარჩება საქართველოს ბიუჯეტში.

უკვე დაბეჭდილი სახელმძღვანელოების სკოლებისთვის გადაცემა 15 ივნისიდან ეტაპობრივად განხორციელდება.

„ბავშვი არის საჩუქარი უფლისა“

„ბავშვი არის საჩუქარი უფლისა, რომელიც ყოველი ოჯახისთვის სანატრელია და სასიხარულო.“ – საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე.

ბავშვთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას მიეძღვნა აფხაზეთის მთავრობის, განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ ერთობლივი აქცია – „მშვიდობის ნერგებად მოვდივართ“, რომლის მიზანი იყო მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ახალი ომის საშიშროების წინააღმდეგ, ბავშვთა ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის ზრუნვა.

აქციაში მონაწილეობდა აფხაზეთიდან დევნილი 300-ზე მეტი მოზარდი, მათ წაიკითხეს აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა მიმართვა მსოფლიოს ბავშვებისადმი:

– ძალადობას არა! მშვიდობა გვინდა მსოფლიოს ბავშვებს;

– ვიბრძოლოთ ბავშვთა უფლებების დასაცავად მთელ მსოფლიოში;

– გვიყვარდეს ერთმანეთი;

– ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელები, გავუთბოთ ერთმანეთს გული;

– დავიცვათ და გავუფრთხილდეთ ბუნებას;

– დავეხმაროთ უმწეო, მარტოხელა და ხანდაზმულ ადამიანებს;

– ვისწავლოთ სიყვარულით ცხოვრება და შრომა;

– ვაშენოთ ერთი სახლი, რომელსაც სამყარო ჰქვია;

– პატივი მივაგოთ წინაპართა ხსოვნას;

– ვიბრძოლოთ ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის.

ღია ცის ქვეშ, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის პარკსა და რუსთაველის გამზირზე, მოეწყო აფხაზეთის მოსწავლე ახალგაზრდობის მხატვრული ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა, შეგროვილი თანხა გადაეცა ზურგის ტვინის სიმსივნით დაავადებულ აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ ოჯახს.

აქციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს: აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა **ვახტანგ ყოლბაიამ**, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა **ალექსანდრე აპლაკოვმა**, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსმა **თეონა ბიბლაიამ;** შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრებმა – **თეონა კვარაცხელიამ** და **საბა მაისურაძემ**. აქციის საპატიო სტუმარმა, ბულგარეთის განათლების სამინისტროს წარმომადგენელმა, ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალების ორგანიზატორმა **ანა დობრინინამ**.

აქციაზე მსოფლიოს ხალხთა ცეკვები და სიმღერები შეასრულეს აფხაზეთის ბავშვთა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა: „ხალისი“, „ლილე“, „ალაშარა“, „აგუძერა“, თანამედროვე ცეკვების გოგონათა ანსაბლმა „გაზაფხულმა“. აფხაზეთის №3 საჯარო სკოლის ფოლკლორულმა ანსამბლმა „ოდოიამ“, ხელოვნების სკოლის „აფხაზეთი №1“ აღსაზრდელებმა – **ანანო კუხალაშვილმა, თამაზ შარიქაძემ, ანა მოწონელიძემ, მარიამ ლონდარიძემ.** ლექსები სამშობლოზე წაიკითხეს ბავშთა კავშირის წევრებმა: **ნინო ჯომიდავამ, ანა ბაღათურიამ საბა მაისურაძემ, დემეტრე კაკუბავამ, თამარ საბაურმა.**

ჩატარდა ასფალტზე ხატვის კონკურსი „მე ვხატავ ზღვას და მზეს“.

განსაკუთრებული შემოქმედებითი აქტივობისათვის აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სიგელებით დაჯილდოვდნენ: **საბა მაისურაძე, თეონა კვარაცხელია, სალომე თავზარაშვილი, ზაურ ქარდავა,** ანსამბლები: „ხალისი“, „ლილე“, „ალაშარა“, „აგუძერა“, „გაზაფხული“.

პროექტში განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებში ჩართული მოზარდებიდან, სპეციალურად შექმნილმა ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში: საუკეთესო მოლექსე – **დიმიტრი კაკუბავა**, ჯადოსნური ხმა – **ანანო კუხალაშვილი**, საოცარი მხატვარი – **მარიამ კვარაცხელია, ნიკუშა ლიპარტელიანი, ნინო მიდელაშვილი**, თანამედროვე მომღერალი – დები **ქრისტინა** და **მარი შანშიაშვილები**, ყველაზე მხიარული – **ნიკა ხოლუაშვილი**, ყველაზე პატარა მხატვარი – **სოფო კაჭარავა**.

აფხაზეთელმა მოზარდებმა, სიურპრიზის სახით, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ ქების სიგელებით დააჯილდოვეს თავიანთი საყვარელი პედაგოგები, ბავშვთა შემოქმედებითი უნარ-ჩვევების საუკეთესოდ წარმოჩენაში გაწეული ღვაწლისათვის – ბატონი **ალექსანდრე აპლაკოვი,** ქალბატონები – **მედიკო კვარაცხელია, თამარ ახალაია, იზონერა ბერაია, როზა მირცხულავა**.

ზეიმი უფრო „ტკბილი“ და სახალისო გახადა აფხაზეთელი შემოქმედი ბავშვების „ოქროს სპონსორმა“ კომპანია „ბარამბომ“, რომელმაც თავისი ნაწარმი გადასცა აქციის წევრებს.

ზაფხულის პირველი დღის სითბო და სიყვარული დიდხანს გაჰყვებათ ფესტივალის მონაწილეებს.

იზონერა ბერაია

ღია ბილინგვური გაკვეთილი დადეშის საჯარო სკოლაში

2013 წლის 5 ივნისს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ დადეშის საჯარო სკოლის მე- 2 კლასის პედაგოგმა **მარინე ავეტისიანმა** ჩაატარა ღია ბილინგვური გაკვეთილები მათემატიკაში, ბუნებასა და მუსიკაში. სტუმრად მოწვეული ჰყავდა სოფელ სულდის საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეები და მათი პედაგოგები. ღია გაკვეთილების ჩატარების მიზანი იყო იმ შედეგების ჩვენება, რასაც პედაგოგმა მთელი წლის განმავლობაში კლასთან სისტემატური ბილინგვური მუშაობით მიაღწია.

მასპინძლებმა სტუმრები გულღიად მიიღეს, სტუმრებმა თავი შინაურულად იგრძნეს და გამოცდილი პედაგოგის მარინე ავეტისიანის ხელმძღვანელობით გაკვეთილები საინტერესოდ და ხალისიანად წარიმართა. ორივე სკოლის მოსწავლეები ცდილობდნენ, მაქსიმალურად წარმოეჩინათ თავიანთი ცოდნა და უნარები ქართულ და სომხურ ენებზე მათემატიკაში, ბუნებასა და მუსიკაში.

მათემატიკის გაკვეთილზე ისინი სწრაფად და სწორად ითვლიდნენ 1-დან 100-მდე, უშეცდომოდ ასრულებდნენ შეკრება-გამოკლების ოპერაციებს, არჩევდნენ და ასახელებდნენ გეომეტრიულ ფიგურებს, ფერებს, ადარებდნენ ერთმანეთს რაოდენობებს.

მუსიკის გაკვეთილზე ამაყად თავაწეულებმა შეასრულეს საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, აგრეთვე, მეგობარი სომხეთის სახელმწიფო ჰიმნი; ხალისით და იმპროვიზირებულად იმღერეს ქართული და სომხური ხალხური და საბავშვო სიმღერები: „ორმოში ფეტვი ჩავყარე“, „ეზოში ძია მოვიდა“, „ნეკი, ნეკი“, „დიდი წვიმა მოვიდა“, „კატისა და კრუხის ჩხუბი“, იცეკვეს „ქართული“.



„მას შემდეგ, რაც პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისათვის“ ამოქმედდა ჩვენს სკოლაში, უფრო აქტიური და პროდუქტიული გახდა ჩემი მუშაობა ბილინგვური სწავლების კუთხით. ჩემს მოსწავლეებთან ერთად, ქართული ენის პედაგოგების დახმარებით, ვსწავლობ ქართულ ენას და ნაბიჯნაბიჯ, მტკიცედ მივიწევ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მისაღწევად,“ – თქვა მარინე ავეტისიანმა.

„ქალბატონი მარინე მტკიცე ხასიათის, გამოცდილი, აქტიური, მაძიებელი, შემოქმედი, მიზანდასახული პედაგოგია. მუდამ მგრძნობიარე და ყურადღებიანია სიახლეების მიმართ. სიძნელეების მიუხედავად, ცდილობს მათ დანერგვას თავის მუშაობაში, რადგან კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, მოქალაქეობრივი და ადამიანური ვალდებულება. ამიტომაც აჩვენა დღეს ასეთი კარგი შედეგი ბილინგვური სწავლების კუთხით.

მინდა, ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ განსხვავებული გარემოს მიუხედავად, ძალზე თავისუფლად, გახსნილად, საინტერესოდ, მონდომებით და კარგად წარმოაჩინეს თავიანთი ცოდნა სულდის საჯარო სკოლის მეორეკლასელმა მოსწავლეებმა, ქართული ენის პედაგოგის, ქალბატონი ***ლალი ალელიშვილის*** *ხელმძღვანელობით. დღეს შეიქმნა უდავოდ კარგი პრეცედენტი ორი საჯარო სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეების დაახლოების, აზრთა და გამოცდილების გაზიარების, თანამშრომლობისა და სამომავლო პერსპექტივების დასახვის, ეს ორივე სკოლისთვის დიდი წინგადადგმული ნაბიჯია“,* – აღნიშნა დადეშის საჯარო სკოლის დირექტორმა, ბატონმა **სურენ ჰაკობიანმა**.

სწრაფად გამონახეს საერთო ენა სტუმარმა და მასპინძელმა ბავშვებმა. დასვენებებზე მეგობრულად ითამაშეს და, როცა ბოლო გაკვეთილის დამთავრება აუწყათ ზარმა, მასპინძლებმა სტუმრები გააცილეს. ბედნიერები წავიდნენ სულდელები, ბედნიერები დარჩნენ დადეშელი ბავშვები, მათ ხომ ძალიან საინტერესო დღე ჰქონდათ და ამ დღეს ახალი მეგობრები შეიძინეს. პედაგოგები კი უკვე მომავალ დღეს გეგმავდნენ.

ცირა მამაცაშვილი
დადეშის საჯარო სკოლის პედაგოგი

სასკოლო ღონისძიება

„ყველაზე ჭკვიანი“ არლის საჯარო სკოლაში

უჩვეულო განწყობა სუფევდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლის საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში (სკოლის დირექტორი – **მარო ჩხიტუნიძე**), სადაც შეკრებილიყვნენ მოსწავლეები, მათი მშობლები, მასწავლებლები და მოწვეული სტუმრები.

სადღესასწაულო განწყობის მიზეზი იყო პროექტი „ყველაზე ჭკვიანი“, რომელიც განახორციელეს მეორეკლასელებმა არლის (კლასის ხელმძღვანელი – **ინგა ვარდიძე**), უდის №2 (კლასის ხელმძღვანელი – **ელენე აღლემაშვილი**), ბენარის (კლასის ხელმძღვანელი – **მედიკო ქაფიანიძე**), და შოლავერის (კლასის ხელმძღვანელი– **ნანა მჭედლიძე**) სკოლების მოსწავლეებმა.

ქვეყანაში წლების განმავლობაში არსებული მძიმე ეკონომიურ-პოლიტიკური მდგომარეობა უარყოფითად აისახა სასკოლო ცხოვრებაზეც, კერძოდ მოსწავლეთა განათლებისა და ურთიერთთანამშრომლობის კულტურის ჩამოყალიბებაზე. გარკვეულწილად გაუფერულდა მოსწავლეთა ინტერესი სასწავლო საგნებისა და კლასგარეშე ლიტერატურისადმი. ბევრისათვის მიუწვდომელიც კი გახდა ძვირადღირებული სახელმძღვანელოების და დამხმარე ლიტერატურის შეძენა, რამაც უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა განათლების პოლიტიკაზე და მისი სამომავლო სტრატეგიის განსაზღვრაზე.

ამ პროექტით „ყველაზე ჭკვიანი“ გვსურდა სკოლების იზოლირებული ფუნქციონირება დაგვეძლია. ჩვენი მიზანი იყო, „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან“ გამომდინარე, მოსწავლეთა გონებრივი პოტენციალის ამაღლება. შემოქმედებითი და ინტელექტუალური უნარების განვითარება და თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბება როგორც სკოლაში, ისე მის გარეთ.

შედეგმაც არ დააყოვნა. მივიღეთ საინტერესო თამაში, რის შედეგადაც ამაღლდა მოსწავლეთა მოტივაციის დონე, ინტერესი საგნებისა და კლასგარეშე ლიტერატურისადმი, გაუმჯობესდა დამოუკიდებელი აზროვნების და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევები.

თამაში, რა თქმა უნდა, დაძაბული და ამაღელვებელი იყო. როგორც წესი, ბავშვები ემოციებს ვერ მალავდნენ. თამაშის ბოლოს გამოვლინდა სამი ყველაზე „ჭკვიანი“, რომლებმაც სამი საპრიზო ადგილი გაინაწილეს. პირველი ადგილი წილად ხვდა არლის საჯარო სკოლის მოსწავლეს **დათო ვარდიძეს**, მეორე ადგილი – უდის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეს **რეზი გიქოშვილს**, მესამე ადგილი – არლის საჯარო სკოლის მოსწავლეს **საბა ჩილინგარაშვილს**.

„გამარჯვება საოცარი შეგრძნებაა, ეს არის წუთები, როცა ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის აბსოლუტურ ჰარმონიას შეიგრძნობ. გწამს, რომ ყველაფერი შეგიძლია. მინდა თანატოლებს ვურჩიო, მოინდომეთ და უსათუოდ მიაღწევთ მიზანს“ – აღნიშნა თამაშის პირველ პრიზიორმა დავით ვარდიძემ.

ღრმად გვწამს, პროექტის განხორციელების დროს მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ბავშვები წარმატებით გამოიყენებენ სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროექტებში.

პროექტის „ყველაზე ჭკვიანი“ სპონსორი იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „Vorld vision“, სამცხე-ჯავახეთის სამხარეო განვითარების პროგრამის მენეჯერი, ბატონი **კობა გორდაძე** და თემის უფროსი მობილიზატორი, ქალბატონი **ელენე ბეგიაშვილი**. მათ გულთან მიიტანეს ჩვენი თხოვნა, გამოიჩინეს გულისხმიერება და დააფინანსეს ჩვენი პროექტი. ქალბატონმა ელენემ თამაშის ყველა მონაწილე მოსწავლეს პროექტით გათვალისწინებული ძვირადღირებული წიგნები და საწერი კალმები მოუტანა. ორგანიზაციის „Vorld vision“ მუშაობის ერთ-ერთი მიმართულება ბავშვთა განვითარებაა. ჩვენი პროექტი სწორედ ამის ნათელი დადასტურება იყო.

თამაშის ბოლოს პრიზიორებისა და მონაწილეების დაჯილდოება შედგა. ეს საპატიო მისია შეასრულა არლის საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა მარო ჩხიტუნიძემ, რომელმაც სამახსოვრო წიგნები გადასცა მათ და, პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად, მადლობა გადაუხადა ქალბატონ ინგა ვარდიძეს საინტერესო და სანახაობრივად მაღალ დონეზე ჩატარებული ღონისძიებისათვის.

ქეთინო აფრიამაშვილი
დაწყებითი კლასების კათედრის გამგე

ინფორმაცია

მინისტრი სტუდენტებს შეხვდა

11 ივნისს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **გიორგი მარგველაშვილი** სახელმწიფო და კერძო უმაღლესი სასწავლებლების 200-მდე სტუდენტს შეხვდა. შეხვედრის დასაწყისში მინისტრმა სტუდენტებს სამინისტროს ახალი ინიციატივები გააცნო:

– უფასო ფაკულტეტები – წელს პირველად, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის რამდენიმე წამყვანი მიმართულების 17 სპეციალობაზე სტუდენტთა სწავლის სრულ კურსს (4 წელი) სახელმწიფო დააფინანსებს;

– სტიპენდიები გაორმაგდა, 2012-2013 სასწავლო წლის პირველ სემესტრში 1230 სტუდენტი იღებდა 150-ლარიან სტიპენდიას, ამავე წლის მეორე სემესტრიდან სტიპენდიას 2405 სტუდენტი იღებს;

– წელს პირველად, სოციალური პროგრამის ფარგლებში, ორჯერ მეტი სტუდენტი მიიღებს საგრანტო დაფინანსებას;

– წელს პირველად, სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება განხორციელდება მაგისტრატურაშიც, ამისთვის 205 000 ლარი გამოიყო;

– წელს პირველად, სახელმწიფო დააფინანსებს დოქტორანტურაში სწავლას, რაზეც მილიონი ლარია გამოყოფილი.

ეს არასრული ჩამონათვალია სიახლეებისა, რომელზედაც მინისტრმა ისაუბრა. შემდეგ, შეხვედრა დიალოგის რეჟიმში გაგრძელდა, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ მინისტრისათვის სასურველი კითხვები დაესვათ, მათ შორის მიმდინარე პროექტებზე. გიორგი მარგველაშვილმა სტუდენტების მიერ წამოჭრილ ბევრ საკითხთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლების სტატუსთან, რექტორის არჩევასთან, რუსული ენის სწავლებასთან, სტუდენტთა დასაქმების საზაფხულო პროგრამასთან, სტაჟირებასთან, ინკლუზიური განათლების ხელშეწყობასთან და სხვ.

ინვესტიცია საქართველოს მომავალში

გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია, სახელწოდებით *„ინვესტიცია საქართველოს მომავალში – ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების ეროვნული გეგმა“*. კონფერენციის მუშაობაში საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მთავრობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონფერენცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ბიძინა ივანიშვილმა** გახსნა.

კონფერენციის მიზანია ადრეულ ასაკში ბავშვთა სიცოცხლესა და განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოჩენა და მათ აღმოსაფხვრელად კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება. გაეროს ბავშვთა ფონდმა ჩატარებული კვლევების (ბავშვთა სიღარიბე, ბავშვთა კვება და სკოლამდელი განათლება) შედეგების პრეზენტაცია გამართა.

კონფერენციის ბოლოს მიღებულ იქნა ბავშვთა სიცოცხლისა და განვითარების ეროვნული დეკლარაცია და მოწოდება კონკრეტული ქმედებისაკენ.

ადრეული წლები (0-5) უმნიშვნელოვანესია ბავშვის განვითარებისათვის. სწორედ 5 წლამდე ეყრება საფუძველი ბავშვის უნარებს. ბავშვთა ადრეულ ასაკში ინვესტიცია ასევე ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამ ასაკში სოციალური უნარ-ჩვევების, ინტელექტუალური განვითარებისა და განათლების მიღების შედეგად ადამიანი უფრო კონკურენტუნარიანია შრომით ბაზარზე და ქვეყნის ეკონომიკისთვის უფრო მეტი სარგებელი მოაქვს.

მოსწავლეები ბუნებრივი რესურსების გამოყენების პრინციპებს გაეცნობიან

საერთაშორისო სასკოლო პროექტის – SPARE (School Project for Application of Resources and Energy) ფარგლებში, ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა **ხათუნა გოგალაძემ,** განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **გიორგი მარგველაშვილმა**, კავშირის „მდგრადი განვითარებისთვის – ეკოხედვა/Eco Vision“-ის აღმასრულებელმა დირექტორმა **ნინო სულხანიშვილმა**, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის პროგრამის დირექტორმა **ჰანს-იოახიმ ლიპმა** და ნორვეგიის გარემოს დაცვის საზოგადოების (Norges Naturvernforbund/Friends of the Earth Norway) წარმომადგენელმა.

მემორანდუმის მიზანია მხარეებს შორის თანამშრომლობის უზრუნველყოფა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების პრინციპების სკოლებში და საზოგადოებაში დანერგვის ხელშეწყობა, პედაგოგების საინფორმაციო და მეთოდური მასალებით დახმარება, ენერგოეფექტურობის კუთხით ცნობიერების ამაღლება და პრაქტიკულ საქმიანობებში სკოლების ჩართულობის მხარდაჭერა.

მიმდინარეობს ხელმოწერა

მსოფლიო დიდი კლასიკოსების

- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა** (ახალი)
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში** (ახალი)
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება** (ახალი)
- მარგარეტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

ტესტების კრებული დირექტორთა გამოცდებისათვის

ფასი – 45 ლარი

შპს „გლისადა“

კრებული შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555122436, 577337444

„დიოგენე“



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი

თამაზ ვასაძე

9 ლარი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

თამარ ბეროზაშვილი

10 ლარი



მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია

~~45~~ 35 ლარი



საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია

~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია

~~40~~ 30 ლარი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

5.70 ლარი



„რა არის რა“
50-ტომეული
ერთი ტომის ფასი
ნაცვლად 11 ლარისა
9 ლარი

- მსოფლიოს 7 საოცრება
- ავტომობილი
- ამინდი
- დიდი აღმოჩენები
- ხალხთა დიდი გადასახლება
- გამოგონებები
- განძის ძიება
- გლადიატორები
- დრო და კალენდარი
- ძველი ეგვიპტე
- ევროპა
- ვიკინგები
- კოშკები
- კრიმინალისტიკა
- მათემატიკა
- მეცნიერებები
- მსოფლიოს რელიგიები
- ძველი რომი
- ძველი საბერძნეთი
- სამურაი
- უდაბნო
- უძველესი ადამიანები
- ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ფიზიკა
- ჩაძირული ქალაქები
- ქიმია
- მეკობრეები
- ოლიმპიური თამაშები
- მთები
- ჯანსაღი კვება
- არქიტექტურა

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-V ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-VI ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-V ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-X ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ა/აGE93LB0113314052305000, ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >